საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლდვე

საქართველოს მთავრობა კრიპტობირჟის რეგულირებისთვის მზად არის

საქართველოს **პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიოში უდიდესი კრიპტოვალუტის ბირჟის — Binance-ის დამფუძნებელს და მთავარ აღმასრულებელ დირექტორს ჩანგპენგ ჟაოს შეხვდა.**

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოს თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების ჰაბად პოზიციონირებას, საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობასა და ინოვაციებზე ორიენტირებულ მთავრობას.

„აღინიშნა ქვეყნის სტაბილური და ხელსაყრელი ბიზნესგარემო, რომელიც ინვესტორებს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს. ამასთან, გამოითქვა სამომავლო თანამშრომლობის მზადყოფნა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას და საქართველოს კანონმდებლობა კრიპტობირჟის რეგულირებისთვის მზად არის.

მსოფლიოში უდიდეს კრიპტოვალუტის ბირჟას — Binance-ს შვილობილი კომპანიები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ბაჰრეინსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში აქვს. ფორბსის მონაცემებით, ჩანგპენგ ჟაოს ქონება 17,4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი პაპუნა ლეჟავა“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



შალვა პაპუაშვილი გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს **პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის პრეზიდენტს, ბერბელ ბასს შეხვდა.**

მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველო-გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე წლისთავს და მიმოიხილეს ორ ქვეყანას შორის მეგობრული და ნაყოფიერი კავშირები.

შალვა პაპუაშვილმა მადლიერება გამოხატა გერმანიის მიმართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ასევე ქვეყნის ინსტიტუციური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერისთვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, გერმანიის ხელშეწყობით, საქართველოში ფუნქციონირებს მდგრადი ინსტიტუტები და ქვეყანა მტკიცედ დგას ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობის გზაზე.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის ხელმძღვანელობით, ვიზიტის ფარგლებში გერმანიის დედაქალაქში მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებთან ორმხრივ შეხვედრებს მართავს. დელეგაციის შემადგენლობაში, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, ნიკოლოზ სამხარაძე, ანრი ოხანაშვილი, ლევან კობიაშვილი, ნინო იობაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი და ხათუნა სამნიძე შედიან.

ვინც საუბრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ოლიგარქი და ის უნდა დასანქცირდეს, არის ომის პარტიის აგენტი

როდესაც კონკრეტული ადამიანები ბიძინა ივანიშვილს უწოდებენ ოლიგარქს, ითხოვენ მის სანქცირებას, ეს არის არა მარტო უსამართლო განცხადება, უსამართლო შეფასება, ეს არის სიბინძურე და ვინც ამას აკეთებს არის სიბინძურის სამსახურში, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

„ამას აქვს ძალიან მარტივი ახსნა და მარტივი ლოგიკა — ყველა ადამიანი, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ვინც საუბრობს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ოლიგარქი და ის უნდა დასანქცირდეს არის აგენტი, ყველა, ვინც ამას ამბობს არის ჩვეულებრივი აგენტი, ომის პარტიის აგენტი“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ არის ომის პარტია, რომელსაც საქართველოში მშვიდობის დარღვევა უნდა და ამის უკან დგას შესაბამისი ინტერესები და სურვილები.

„მნიშვნელოვანია ყურადღებით იყოს საზოგადოება ასეთი ადამიანების თითოეული გზავნილის მიმართ, რადგან ამ გზავნილებიდან იკითხება მათი რეალური განზრახვა“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი ქადაგიშვილი: მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო დასკვნის საკითხი ისევ სასამართლოს გადასაწყვეტია

თუ **მიხეილ სააკაშვილზე იქნება რაიმე სხვა სამედიცინო დასკვნა, რომელიც კანონის სახით ითვალისწინებს მისი პატიმრობის შეცვლას, ესეც სასამართლოს მიერ იქნება გადასაწყვეტი,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.

„ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ პაციენტი, მსჯავრდებული სააკაშვილი იყოს მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ. რაც შეეხება მის სამკურნალოდ გადაყვანას, აქაც ნათლად ითქვა, რომ კანონის მიხედვით უნდა მოხდეს ყველა საკითხთან მიდგომა. თუ იქნება რაიმე სხვა სამედიცინო დასკვნა, რომელიც კანონის სახით ითვალისწინებს მისი პატიმრობის შეცვლას, ესეც სასამართლოს მიერ იქნება გადასაწყვეტი“...



იუსტიციის სამინისტროს შეთავაზება, რომ ნებისმიერი ექიმი, ნებისმიერი უცხოური კლინიკიდან, სააკაშვილის სურვილის შემთხვევაში, შეძლებს მის მკურნალობაში ჩაერთოს — მიუღებელი და პროვოკაციული განცხადებაა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვის. მმართველ პარტიაში კი აცხადებენ, რომ ოპონენტები ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობით შეგნებულად მანიპულირებენ.

გიული ალასანია: სააკაშვილზე იუსტიციის მინისტრს სწორი განწყობა აქვს!

გიული ალასანიას განცხადებით, იუსტიციის სამინისტროს განწყობა სწორია და ექსპერტიზის დასკვნა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, განსახილველად სწორედ სასამართლოში უნდა შევიდეს.

„რაც მოვისმინე მგონია, რომ იუსტიციის მინისტრს სწორი განწყობა აქვს. ისინი ამბობენ, რომ დოკუმენტები უნდა შევიდეს სასამართლოში და შემდეგ სასამართლომ უნდა განიხილოს, სწორია ეს, მაგის განხილვა იქნება, საჭიროა გადაყვანა თუ არა. ჯერ უნდა შეუწყდეს მას სასჯელის მოხდა და შემდეგ უნდა მოხდეს მისი გადაყვანა, თუ სასამართლო ასე მიიჩნევს“, — აღნიშნა ალასანიამ.

როგორც იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ განაცხადა, ოჯახმა სასამართლოს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე უნდა მიმართოს და შემდგომ სასამართლომ გადაწყვიტოს, გადაუვადდეს მიხეილ სააკაშვილს სასჯელის მოხდა, თუ გათავისუფლდეს.

ასე მცირე თანხით დაჯარიმება რაღაა, თქვენო მოწყალებავ!

თბილისის **საქალაქო სასამართლომ „ტვ პირველისა“ და ამავე არხის ტელეწამყვანის, მაია მამულაშვილის წინააღმდეგ თბილისის მერის, კახა კალაძის სარჩელზე გადაწყვეტილება გამოაცხადა.**

სასამართლომ ტელეკომპანიასა და მაია მამულაშვილის წინააღმდეგ კახა კალაძის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ტელეკომპანია „პირველს“ და მაია მამულაშვილს კალაძის მიმართ მორალური ზიანის სახით, 15 000 ლარის გადახდა დაეკისრა, ასევე, ტელეკომპანიას დაევალა თბილისის მერის შესახებ გავრცელებული ცნობების უარყოფა. კერძოდ, დაცვის მხარის განცხადებით, მამულაშვილმა წყაროს მითითების გარეშე, მტკიცებით ფორმაში თქვა, რომ კალაძემ ტენდერებიდან 60 მილიონი მიიღო.

თბილისის მერი ჟურნალისტის მიერ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფასა და მოპასუხეებისთვის 100 000 ლარის დაკისრებას ითხოვდა.

ნოდარ მელაძე: TV პირველი ამ თანხას ვერ გადაიხდის

TV პირველის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ნოდარ მელაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც „ტვ პირველს“ და ამავე არხის ჟურნალისტ მაია მამულაშვილს თბილისის მერისთვის 15 000 ლარის გადახდა დაეკისრათ.

„იმის გამო რომ, კახი კალაძეს მაია მამულაშვილის დასმული კითხვა არ მოეწონა, სასამართლომ „ტვ პირველს“ და მაია მამულაშვილს დააკისრა 15 000 ლარის გადახდა. „ტვ პირველი“ ამ თანხას ვერ გადაიხდის, რადგან ანგარიშებს ადევს ინკასო. შესაბამისად შემდეგი ნაბიჯი იქნება კალაძე აღსრულებას მიმართავს, რომ ტელევიზიიდან კამერები წაიღოს, ან მაია მამულაშვილის სახლიდან, ამ თანხის ოდენობის ნივთები, სამეული, მაცივარი ან ტელევიზორი. ველოდებით აღსრულების სამსახურის, მერის მიმართვის საფუძველზე როგორ შემოდის ტელევიზიაში, ნივთების წასაღებად.

P. S. კახა კალაძე ჩემს კომპიუტერს ვერ წაიღებთ, ტელევიზიის არაა, ჩემია და სადაც ვმუშაობ ყველგან თან დამაქვს.

საქართველო 2022 წლის 30 ნოემბერი“, — წერს მელაძე სოციალურ ქსელში.

გიგლა ბარამიძე: ამერიკაში, ლამის, დაჭამეს ერთმანეთი პრეზიდენტობის კანდიდატებმა!..

მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყევებისა და რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის ფონზე, ქართული პოლიტიკური სპექტრი კვლავ მთავარ საკითხად ქვეყნის მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და მისი პარტიის დღევანდელ თუ სამომავლო პერსპექტივის საკითხებს განიხილავს და ძირითად ენერგიას, სწორედ ამ მიმართულებით ხარჯავს. არადა, ეს ის პერიოდია, როცა პოზიციამ და ოპოზიციამაც მთელი თავისი რესურსი იმ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას უნდა მოახმაროს, რომელიც საქართველოს ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზას გაუხსნის.

რამდენად მხარდაჭერილი იქნება „ნაციონალური მოძრაობა“ დასავლური პოლიტიკური წრეებიდან 2024 წლის არჩევნებზე, რამდენად აქვს დასაყრდენი მერაბიშვილ-კეზერაშვილის მიერ მხადაჭერილ ხაბეიშვილს პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში და რატომ უნდა დაბრუნდეს მიხეილ სააკაშვილი ციხეში? — ამ საკითხების ირგვლივ For.ge დამოუკიდებელ პოლიტიკოსს, გიგლა ბარამიძეს ესაუბრა.

ჩვენ კი ხმის ამოღების უფლებაც არა გვაქვს?

— როგორ შეაფასებდით „ნაციონალურ მოძრაობაში“ პარტიის თავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებით დაწყებულ შიდა ომს? ფაქტია, სააკაშვილი და მისი პატიმრობა მხოლოდ არასამთავრობოთა ერთი ნაწილის და მისი ოჯახის პრობლემად რჩება.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იმ გაერთიანებას პარტიას არ ვუწოდებ. მათ არაფერი აკავშირებთ პარტიასთან და პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ეს არის ცალკეული რევანშისტულ-სექტანტური ჯგუფები, რომელთაც უნდათ ისევ ხელისუფლებაში დაბრუნება და ხელში ჩაგდება თუკი რამეა კიდევ მათგან გადარჩენილი, ანუ ისევ ქონების ხელში ჩაგდება უნდათ, რათა ისევ წველონ სახელმწიფო. ეს არის ჩვეულებრივი სექტა. მე მათ ვუწოდებ ნაცპარაზიტებს, ნაცსექტანტებს, მეხუთე კოლონას საქართველოში, რომელიც, კიდევ ერთხელ ვამბობ, დიდი ხანია ასცდა პოლიტიკურ ცხოვრებას. მიდის შიდა დაპირისპირება იმ სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად, რომელიც მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა — კეზერაშვილმა, საქართველოს ბიუჯეტს აწაპნა, განსაკუთრებით 2008 წლის ომის დროს, გაიტანა უცხოეთში და იქიდან თავიანთ პრესსამსახურად ქცეულ ტელევიზიას, სასურველ არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებს და მიდის ჭიდილი, ვინ ჩაიგდებს ხელში ამ ფინანსებს. ხელში ჩაიგდებს ის, ვისაც ექნება ამ სექტის, ამ „პარტიის“ მართვის სადავეები. მეტი არაფერი შედის მათი ინტერესის სფეროში. არც სახელმწიფო მშენებლობა, არც პარტიული. საერთოდ არ ადარდებთ ის საერთაშორისო მაწანწალა, ხან ციხეში რომაა გამომწყვდეული და ხან კურორტის პირობებში რომ ყავს დღევანდელ ხელისუფლებას საავადმყოფოში. აი, მხოლოდ ეს არის.

— ანუ სააკაშვილისგან ბოლომდე გამიჯვნას ცდილობენ პარტიის წევრები, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები?

— იციან, რომ სააკაშვილის გვარის ხსენება წამგებიანია ამომრჩეველთან. სააკაშვილის ამომრჩეველი სჭირდებათ, მაგრამ მასთან ყოფნა არ უნდათ. მისი ფინანსები სჭირდებათ, მაგრამ ის თავად არ სჭირდებათ. ეს წინა არჩევნებშიც გამოჩნდა, როცა გაემიჯნენ მას. მაგრამ შედეგი, რა? რაც არ უნდა ვთქვათ, მით უმეტეს, ჩემი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებისა, მაინც ეს ნაცბანდა მთლიანად აგებულია სააკაშვილის მომხრეებზე ანუ მიშამადიდებლებზე. არ იქნება მიშამადიდებლების გაერთიანება და ვერავინ მიიღებს იქედან ხმას. ასეთი პარადოქსული ვითარებაა — სჭირდებათ მიშა, მაგრამ მასთან ასოცირებაც არ უნდათ. ამიტომ არის ასეთი დაპირისპირება, ამის გამო ჭამენ ერთმანეთს ვითომ ეს ნაძალადევი ლიდერები. მთავარია, როგორმე დაირქვან სახელი ამ პარტიის ლიდერობის, რომ პირდაპირ გასვლა ჰქონდეთ იმ ფინანსებზე, რაც გააჩნია კეზერაშვილს, სააკაშვილის გარემოცვას და ოჯახს ცალკე.

— რას ნიშნავს მერაბიშვილ-კეზერაშვილის ტანდემის პოლიტიკაში ასე გააქტიურება?

— არც ერთია პოლიტიკოსი და არც მეორე. ორივე კონიუნქტურას აყოლილი მედროვენი იყვნენ საქართველოში ნაცბანდის ყელყელაობის დროს. მერაბიშვილმა სოლიდური ფინანსები დააგროვა და მიკვირს, რატომ არ არის მოთხოვნა, ეს თანხები რა გზებით დააგროვა და რამდენად კანონიერად. კი, მერაბიშვილი გამოვიდა ციხიდან, მაგრამ რომელი ბიზნესმენი ეგ მყავს, ასე თავისუფლად რომ აქვს ფინანსები, მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოსავალი? ამ ხალხს აქვს ერთადერთი სურვილი — შექმნან ვითარება, რომ პოლიტიკაში მოდიან, მაგრამ რეალურად, უბრალოდ, თავიანთი დასაყრდენის გატარება უნდათ. ფიქრობენ, როგორმე იმუნიტეტი შეიქმნან და თავი დაიცვან პარტიულ ცხოვრებაში ჩართვით — ეს არის და ეს.

— ხაბეიშვილი რა ისეთი ფიგურაა „ნაცმოძრაობაში“, რომ კეზერაშვილი და მერაბიშვილი მას ეყრდნობიან, თუ მათ ინტერესებში მხოლოდ საკუთარი ფინანსების დაცვა და კონტროლია?

— არ ვიცი. ფიგურები ნაცბანდაში დღეს არ არიან. არც ხაბეიშვილია არანაირი ფიგურა. ზოგს მეტი ენერგია აქვს, ზოგს ნაკლები. ხელფასებსა და პრემიებშია კიდევ განსხვავება. ერთადერთი ამათი დასაყრდენი არის კეზერაშვილის ფინანსები და ტელევიზია, რომელიც როგორც კომაში მყოფ კაცს აცოცხლებენ, ისე აცოცხლებენ ეს ტელევიზიები და მათი არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ვითომ ფიგურებს. ესენი საქართველოში ამინდს ევრ შექმნიან. საზოგადოების ნაწილის მოტყუება ხდება, რომ ის ვიღაც, რაღაცას იზამს და ა.შ. მათი პრესსამსახურად ქცეული ტელევიზიები ემსახურებიან ამას და რაღაც სეგმენტი აქვთ ამათ დაჭერილი. ეს არაფერია. მე ვიცი მათი ანატომია შიგნიდან. ვიცი რეალურად რაცაა და საზოგადოების განწყობაც ვიცი, თვით იმათიც კი, ვისაც „ქართული ოცნება“ არ უყვარს, მაგრამ ესენი მით უმეტეს, არ უნდათ. როცა 24 საათი სხედან ტელევიზიაში დილიდან საღამომდე საზოგადოების გარკვეული ნაწილის მოტყუებაზე იოლი არაფერია. პოლიტიკოსი ან პროფესიონალი სახელმწიფო მოღვაწე, მოხელე არ მოტყუვდება, მაგრამ საზოგადოების ნაწილის მოტყუება იოლია.

— დღეს უკვე აქტიურად განიხილება პრეზიდენტის მიერ შესაძლო შეწყალების თემა. შესაძლებელია, ზეწოლა მოხდეს ქვეყნის გარედან და მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით ნათქვამ სიტყვას — „არა და არასოდეს“ სალომე ზურაბიშვილმა გადახედოს?

— არ ვიცი. ყოველთვის კრიტიკული ვარ ყველას მიმართ, თუ რაიმე არ მომწონს. მაგრამ ბოლოს ეს ფრაზა რომ თქვა — არა და არასოდეს! — სადღაც დავწერე, იმედი მაქვს, ეს ისტორიული ფრაზა ისტორიაში დარჩება და არ შეიცვლება—მეთქი. თუ უნდა, რომ შეცვალოს, ამითაც დიდი არაფერი შეიცვლება. მეორეც, უამრავი სისხლის სამართლის საქმე არის აღძრული სააკაშვილის მიმართ. ერთ დღეს გამოუშვებენ და მეორე დღეს ისევ დაიჭერენ.

— ეს გასაგებია, თუმცა მის ჯანმრთელობის მდგომარეობას მძიმეს უწოდებენ. ადვოკატის თქმით, მძიმე მეტალები აღმოჩნდა სააკაშვილის ორგანიზმშიო!

— ეს იმიტომ კეთდება, რომ თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოუშვებენ, მერე მეორე საქმის გამო დაიჭერენ. ესენიც ეშმაკურად იქცევიან. არ არის მძიმე ავადმყოფი ეს ადამიანი და არც ერთი დასკვნა არ დევს ამისი. თუ იეშმაკებს და კორუფციულ გარიგებაში შევა, მაშინ ისიც უნდა ვამხილოთ. ამის ავადმყოფობა არის ერთადერთი — „მინდა გარეთ, ვთქვლიფო ხინკალი და ისევ დამსვით პრეზიდენტად“. მისი ავადმყოფობა ბავშვობიდან სხვა არაფერია.

— თქვენ ასე გეპარებათ ეჭვი მიშას ადვოკატების განცხადებებსა და იგივე „ემპათიის“ დასკვნაში?

— ახლა ცოტა უხეშად ვამბობ, მაგრამ არაფერია — ვიღაცამ რომ თქვას, სააკაშვილი არის... ბოდიში და ფეხმძიმედ, და თუ ფეხმძიმედაა, გამოვუშვებთო, ეს ისეთი სალახანაა და მისი გარემოცვა, იტყვიან — კი, კი ფეხმძიმედაა, ოღონდ გამოუშვითო. აი, ასეთი ტიპაჟია და ასეთი ხალხი ახვევია გარედან. რა გითხრათ, არანაირი ავადმყოფი არ არის, ყველაფერს კადრულობს, ყველაფერზე ამბობს, ეს მჭირსო და რომ ჰქონდეს გარანტია, იტყვის, კი, ფეხმძიმედ ვარ, ოღონდ გამომიშვითო. მისთვის ხომ არ არსებობს რაიმე ზნეობრივი კატეგორია. კაცი, მთავარსარდალი რომ ჩაისვრის, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით (ორი კვირა წმენდნენ მის მანქანას მერე) და გარბის, მერე მაინც პრეტენზია აქვს პრეზიდენტობის, იმისგან რა უნდა გაგიკვირდეთ?! როგორც კი გამოუშვებენ, იტყვის — ერთი თვე მოვიშუშებ იარებს და ისევ არჩევნებში, ისევ პოლიტიკაში ვბრუნდები, მე უნდა გადავარჩინო საქართველოო.

პირდაპირ ვამბობ, სააკაშვილი არანაირი ავადმყოფი არაა, დააბრუნეთ ციხეში! სადაც იყო — დილეგში, მისი ადგილი იქ არის.

— დაბოლოს, თქვენც ახსენეთ, რომ მნიშვნელოვანი პროცესები მიდის — მსოფლიოს ახალი გადანაწილება რუსეთ—უკრაინის ომის ფონზე. ჩვენ სად ვართ ამ ვითარებაში და როგორ შეაფასებდით ამერიკის ელჩის განცხადებებს, მოქმედებებს და პროცესს, რომელიც რეალურად ამერიკის სახელით ხორციელდება?

— ხანდახან არ ემთხვევა მისი გამოსვლა, პოზიცია ადმინისტრაციის პოზიციას. რადგან ელჩი ასე ლაპარაკობს, არ ნიშნავს, რომ ამ ენით გველაპარაკება აშშ. უფრო, მისი პირადი ინიციატივებიც მგონია. მოდით, ასე ვთქვათ, ამერიკის პოზიციაც რომ იყოს — რა? რა ვქნათ ახლა, ბატონყმობაა?! იმიტომ გავხდით დამოუკიდებლები რუსეთისგან, რომ ახლა სხვისი მონა-მორჩილი გავხდეთ?! მეგობრობა, სტრატეგიული პარტნიორობა გამიგია, მაგრამ რატომ უნდა ვუქნიოთ აშშ-ს თავი, თუკი არ გვაწყობს ის, რაზეც მიგვითითებენ?! ამ ცნობიერებიდან უნდა გამოვიდეთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, დასავლეთი გვინდა, ევროკავშირის წევრობა გვინდა, იმიტომ რომ ამ ცივილიზაციის ერთ-ერთი პირველი დამფუძნებლები ვართ — საქართველო, მაგრამ არის საკითხები, რომელიც ჩემი ქვეყნის ინტერესებში არ შედის და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გეტყვის. ვაიმე, აშშ-ის ელჩმა თქვა... თქვა და თქვა, რა მოხდა მერე.

— ანუ არასწორი პოზიცია არ აირჩია სოზარ სუბარმა და მისმა გუნდმა — „ხალხის ძალამ“?

— არა, პირიქით. ძალიან სწორი პოზიცია აირჩია. თუკი შენი სახელმწიფოს ინტერესში თუნდაც მეგობარი სახელწიფოს მითითება არ ჯდება, არ უნდა გააკეთო. ახლოს არ ვიცნობ მაგათ შეკითვებს, მაგრამ იგივეს არ ამბობს სუბარის გუნდი? სხვათა შორის, არ არის ცუდი. ისინი უმრავლესობის წევრები არიან. შეიძლება უმრავლესობა ამას ვერ ამბობს, მაგრამ რაღაც ჯგუფია, რომელიც დაახლოებით ამბობს იმას, რასაც ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს ასე. არის საკითხები, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია. ამ ეტაპზე, იგივე სანქციებთან დაკავშირებით, რუსეთის მიმართ განსაკუთრებული დაპირისპირება არ არის საჭირო. მით უმეტეს, გამოქვეყნდა ბლუმბერგის მონაცემები და თურმე, 40%-43% ბალტიის ქვეყნებს გაქანებული ვაჭრობა აქვთ რუსეთთან, იგივე — ინგლისს, გერმანიას, აშშ-ს — პროცენტებია გამოქვეყნებული. მათ, უბრალოდ, სანქცირება გაუკეთეს რუსულ აქტივებს, მაგრამ ნედლეულს არა და ჩვენ რატომ გვავალებენ ამას, ვერ გამიგია. ამიტომ თავი და თავი ამ ყველაფრისა არის მონური ფსიქიკა და უვიცობა, რაც სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოების რაღაც ნაწილში და პოლიტიკურ სპექტრში, დამკვიდრდა. ამას ნეოლიბერალები სათავისოდ იყენებენ. სწორად იქცევა დღვანდელი ხელისუფლება, რასაც აკეთებს. ის გუნდი — სუბარის გუნდი, რამდენი არიან, არ ვიცი, სვამენ შეკითვებს, ბევრი შეკითხვა ყველას გვებადება, ლოგიკურია ეს შეკითვები და რა არის ამაში საწყენი, ვერ გამიგია. არ შეიძლება, თუნდაც ძლიერი ქვეყნის — აშშ-ის ელჩს რაღაც ვკითხო და ვუთხრა — იცი რა, მე არ მომწონს რასაც ამბობ და მოდი, მე მომისმინე, ეს არის ამერიკის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი? ამ სტერეოტიპებიდან უნდა ამოვიდეთ. ასე არ შეიძლება. ამერიკაში ლამის დაჭამეს ერთმანეთი ერთმა და მეორე პრეზიდეტობის კანდიდატმა, დემოკრატმა და რესპუბლიკელმა და იქ ეს მოსულა და ჩვენ ხმის ამოღების უფლება არ გვაქვს? ვის აქვს უფლება, რომ ეს გვიკარნახოს და გაგვიბედოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ამერიკის წინააღმდეგი ვარ. აი, ეს ერთუჯრედიანი ფსიქიკის აზროვნება უნდა ამოვშანთოთ ჩვენი საზოგადოებიდან და წინსვლა გავაგრძელოთ.

ესაუბრა
შორენა კოწოწაშვილი

ახალგორელებისთვის ახალი საშვების გაცემა ჭიანურდება

ოკუპირებული ახალგორიდან, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ერთ-ერთი ადგილობრივი მოქალაქე გადმოვიდა. რაზდახანის, იმავე მოსაბრუნის ე.წ. გამშვები პუნქტი მან დაუბრკოლებლად გაიარა, მხოლოდ დე ფაქტო კაგებეს ე.წ. სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლებმა გააფრთხილეს, რომ ისედაც ვადაგასული სამოქრარო საშვი, 30 ნოემბრის შემდეგ, ძალადაკარგულად გამოცხადდება.

რადიო თავისუფლების ახალგორელი წყარო, რომლის ვინაობას მისივე უსაფრთხოების მიზნით არ ვასახელებთ, გვიყვება, რომ ახალი საშვის ასაღებად ადგილობრივ ადმინისტრაციას განცხადება და საბუთები თითქმის ერთი თვის წინ ჩააბარა, მაგრამ ამ დრომდე მოლოდინის რეჟიმშია. მისი თქმით, მსურველთა რაოდენობა დიდია, საშვი ყველას უნდა, როგორც დაბაში დარჩენილ მცხოვრებლებს, ასევე წეროვანის დევნილთა დასახლებაში იძულებით წასულ პირებს, გაზრდილი მოთხოვნის ფონზე კი ადგილობრივი ადმინისტრაცია ნელა მუშაობს და არავინ იცის, 30 ნოემბრამდე მოესწრება თუ არა ახალი საშვების გაცემა.

„30 ნოემბერს გზას ისედაც ჩაკეტავენ და შემდეგ უკვე 20 დეკემბერს ისევ 10 დღით გახსნიან, მაგრამ თუ ადგილობრივებს ახალი საშვები არ ექნებათ, ისინი წინასაახალწლოდ ნათესავებთან მიმოსვლას, პროდუქტების მომარაგებას და საახალწლოდ მომზადებას ვერ შეძლებენ. თუ 20 დეკემბრამდე საშვი ვერ მივიღეთ, საახალწლოდ ისევ იზოლაციაში აღმოვჩნდებით“, — გვეუბნება ახალგორელი წყარო.

ახალგორის ლეგიტიმური გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მოთხოვნა ახალ საშვზე ბევრ ახალგორელს აქვს შეტანილი, თუმცა მისთვის ზუსტი რაოდენობა უცნობია. რადიო თავისუფლებასთან საუბარში თინიკაშვილი აღნიშნავს, რომ წეროვანსა და სხვა დევნილთა დასახლებებში მცხოვრები ახალგორელები ახლა დაბაში სწორედ ახალი საშვების მისაღებად ბრუნდებიან და როგორ პასუხს გასცემს მათ დე ფაქტო ადმინისტრაცია, ეს მხოლოდ 30 ნოემბრის შემდეგ გამოჩნდება.

„უმრავლესობას ახალ საშვზე მოთხოვნა უკვე შეტანილი აქვს, ახლა აქეთ წამოსული ახალგორელები დაბაში ბრუნდებიან, რომ იქნებ როგორმე ამ ათ დღეში მოასწრონ მიღება. დანარჩენი რა იქნება, ეს მომავალში გამოჩნდება. თვის ბოლომდე გამოჩნდება, თუ მოასწრებენ დამზადებას და ვინმეზე გაცემას. ძალიან ბევრი მსურველია საშვის მიღების, კონკრეტული რაოდენობის დასახელება გამიჭირდება“, — ამბობს **ნუგზარ თინიკაშვილი.**

გადაწყვეტილება ჩაკეტილი ე.წ. გამშვები პუნქტების გახსნის შესახებ დე ფაქტო ხელისუფლებამ მიმდინარე წლის 18 აგვისტოს მიიღო. გამარტივებული პროცედურით სარგებლობს ახალგორისა და ჯავის რეგიონის მოსახლეობა - ისინი ყოველი თვის 20-დან 30 რიცხვის ჩათვლით შეძლებენ გადაადგილებას. საუბარია ე.წ. გამშვებ პუნქტებზე „რაზდახანი“ (ოძისი/მოსაბრუნი) და „პერეუ“ (პერევი). მიმდინარე წლის 30 ნოემბრამდე მოქალაქეებს გადაადგილება „ვადაგასული საშვებითაც“ შეუძლიათ.

ოკუპირებული დაბის მოსახლეობა ამ ათ დღეს წეროვანში მცხოვრები ნათესავების მოსანახულებლად, ექიმთან ვიზიტისთვის, პენსიის მისაღებად, პროდუქტების შესაძენად და სხვა საჭიროებებისთვის იყენებს ხოლმე.

კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ გაგლოევის ხელისუფლების მხრიდან ეს წინგადადგმული ნაბიჯია ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. მისი აზრით, ახალგორელების მიმართ აქამდე მკაცრი რეჟიმი აშკარად შერბილებულია.

„დადებითი მოვლენაა, რომ თვეში ათი დღით მაინც იხსნება გზა. იმ ფონზე, რაც ბიბილოვმა (ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტი) გააკეთა, ნამდვილად მისასალმებელია. ამოისუნთქეს ახალგორელებმა. ადგილობრივი მოსახლეობის მიმართაც აღარ არის ისეთი სიმკაცრე, როგორიც იყო. უფრო მეტი გაგებით ეკიდებიან. ახალგორელები თვითონაც ჩადიან ცხინვალში და იქ უფრო მეტად ღებულობენ, ყურადღებას აქცევენ და აშკარად ისე ხშირად აღარ მოდის ხმები დაპატიმრებებზე და გაუსაძლის მდგომარეობაზე“.

ზაქარეიშვილის დაკვირვებით, ოკუპირებულ ცხინვალში, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე განწყობები იცვლება, რადგან გრძნობენ, რომ რუსეთი მარცხდება და გაგლოევის ხელისუფლება მესიჯებს საქართველოს ხელისუფლების მისამართითაც აგზავნის.

„ჩრდილოეთ ოსეთიდან გაყვანილი ბევრი მებრძოლი იღუპება უკრაინაში. იმდენი არა, რამდენიც სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ეს დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. აქვთ განცდა, რომ არ არის სწორი მათი მონაწილეობა ამ ომში. ეს იწვევს ომის საწინააღმდეგო განწყობებს, ვერ ვიტყვი, რომ მთლიანად ანტირუსული განწყობებია, თუმცა ესეც არის. ამ ყველაფერმა ბევრი რამ ეჭვქვეშ დააყენა ცხინვალში. მთავარი კითხვაა, როგორი იქნება მათი მომავალი? თუ რუსეთი აგებს, ხედავენ, რომ აგებს და ხერსონის შემდეგ ჩანს, რომ რუსეთი ვერ აღწევს თავის მიზნებს და ეს აფიქრებთ, როგორი მომავალი ექნება სამხრეთ ოსეთს. პირველად დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ საჭიროა საქართველოსთან ურთიერთობების დალაგება. აშკარად ჩანს, რომ რაღაც მესიჯები მოდის. მე მგონი, რომ ისინი (დე ფაქტო ხელისუფლება) რაღაც მომენტს იჭერენ და საჭიროა ამის გამოყენება“.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ყოფილმა ე.წ. პრეზიდენტმა „რაზდახანის“ (ოძისი/მოსაბრუნის) ე.წ. გამშვები პუნქტი 2019 წლის სექტემბერში ჩაკეტა და ახალგორის მოსახლეობა იზოლაციაში მოაქცია. მას შემდეგ გზა სულ რამდენჯერმე, განსაკუთრებული შემთხვევების გამო გაიხსნა. ანატოლი ბიბილოვი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში განთავსებული საპოლიციო საგუშაგოს აღებას მოითხოვდა, რადგან მიიჩნევდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს საგუშაგო ოკუპირებულ წნელისში განათავსა. დე ფაქტო პრეზიდენტმა ახალგორი ამ საგუშაგოს აღებამდე ჩაკეტა.

ახალგორის მცხოვრებლებმა კი ბიბილოვის ამ გადაწყვეტილებას 10 აპრილის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში უპასუხეს — დაბაში მისმა კონკურენტმა ალან გაგლოევმა 4-ჯერ მეტი ხმა მიიღო. გაგლოევი წინასაარჩევნო შეხვედრისას ახალგორელებს შეჰპირდა, რომ თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, გზას გახსნიდა. ჯერჯერობით, მისი პირობა თვეში მხოლოდ 10 დღით სრულდება, ახლა დაბაში და დაბის გარეთ მცხოვრები ახალგორელების მთავარი საზრუნავი ისაა, რომ სამგზავრო საშვი სწრაფად მიიღონ და გადაადგილებისას დაბრკოლებები არ შეექმნათ.

გოგა აფციაური,
რადიო თავისუფლების
კორესპონდენტი შიდა ქართლში

რუსეთისგან „სუვერენიტეტის დაცვისთვის“ მებრძოლი აფხაზები

ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების ახალი მოძრაობა — „ფართო პოლიტიკური პლატფორმა“ ჩამოყალიბდა. პირველ შეკრებაზე მიღებული მანიფესტის ხელმომწერები აკრიტიკებენ დე ფაქტო ხელისუფლებას „საზოგადოებაში იმ აზრის თესვის გამო, თითქოს აფხაზ ხალხს არ ძალუძს, დაიცვას სუვერენიტეტი და ამიტომაც უნდა დათმოს საკუთარი ბუნებრივი, ტერიტორიული, ენერგეტიკული და სხვა რესურსები (რუსეთის სასარგებლოდ — რედ)“.

„სწორედ ასე აღვიქვამთ ჩვენი მთავრობის თანხმობას უცხოელთა საკუთრებაში ბიჭვინთის ტერიტორიის ნაწილისა და ენერგეტიკული სისტემის გადაცემაზე, ასევე იმ ანტისახალხო კანონის მიღებას, რომელიც აფხაზეთის მოქალაქეთა ნაწილს „უცხოეთის აგენტებად“ აცხადებს, საკუთარი დღის წესრიგის არქონას როგორც საგარეო პოლიტიკურ, ისე დემოგრაფიისა და ყველა სხვა მნიშვნელოვან სფეროში, რეპატრიაციის პროცესის ფაქტობრივ შეჩერებას, ჯარში არსებული რეალური ვითარების იგნორირებასა და სხვას“ — ნათქვამია მანიფესტში.

ახალი მოძრაობის წევრები დარწმუნებულები არიან, რომ **„თანამედროვე მსოფლიოს პირობებში რეფორმების არარსებობა, ზოგადად ჩამორჩენა განვითარებაში აფხაზეთს საფრთხეს უქმნის არა მარტო სახელმწიფო სუვერენიტეტის, არამედ აფხაზი ხალხის გადარჩენის თვალსაზრისით“.**

„იქმნება განცდა, რომ მმართველმა პოლიტიკურმა კლასმა დაკარგა აფხაზური სახელმწიფო პროექტის რეალიზებადობის რწმენა და აპირებს, მხოლოდ ფორმალურად მიაყოლოს ჩვენი ქვეყანა დინებას საერთო სახალხო აქტივების გასხვისების ხარჯზე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: ამ გეგმის განხორციელებას არ დავუშვებთ! კატეგორიულად არ ვეთანხმებით თეზისს ჩვენი ხალხის უუნარობაზე, თავად აგვაროს ჩვენი პრობლემები. დარწმუნებულები ვართ, ადამიანები, რომლებიც მსგავს მიდგომებსა და აზრებს თესავენ, არ ფლობენ მორალურ უფლებას, მართონ ქვეყანა და ხალხი, რომელშიც არასრულფასოვნების კომპლექსის თესვას ცდილობენ“, — ნათქვამია მანიფესტში.

ახალი მოძრაობა, ხელმომწერთა განცხადებით, აერთიანებს **„პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების ახალ თაობას, რომლის მიზანს ეროვნული აქტივების შენარჩუნება, პოლიტიკური სისტემის რეფორმირება, ხელისუფლებაში ახალი თაობის მოსვლა, საბოლოო ჯამში კი აფხაზეთის თანამედროვე სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნა წარმოადგენს“.**

შუადერეფნის გამტარუნარიანობა იზრდება — საქართველო წამყვანი მოთამაშეა!

საქართველო და მისი მეზობელი ძვეყნები უდიდეს სატრანსპორტო სძემაში ჩასართვად ემზადებიან. შუადერეფნის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება, მისდამი ინტერესს კი როგორც ევროპის, ასევე აზიის ძვეყნები ამჟღავნებენ.

სწორედ ამიტომ ყაზახეთი, საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი შუა დერეფნის გამტარუნარიანობის ზრდაზე შეთანხმდნენ.

შესაბამისი შეთანხმების მიღწევა ყაზახეთში მოხდა, სადაც ეკონომიკის მინისტრი **ლევან დავითაშვილი** და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე ღვთისიაშვილი,** სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, ტრანსკასპიური სატრანსპორტო დერეფნის განვითარებასთან დაკავშირებულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ.

იხ. 8 გვ.

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲘᲧᲝ!..

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲛᲓᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ, ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲜᲐᲥᲕᲘᲡ ᲮᲔ 9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲘᲜᲗᲔᲑᲐ.

მისი თქმით, ამავე დღეს აინთება ილუმინაციებიც, „საახალწლო სოფელი“ კი მოგვიანებით გაიხსნება.

დედაქალაქის მერმა საახალწლო სლოგანზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ კონკრეტულმა მედიასაშუალებებმა და პოლიტიკოსებმა სცადეს, სლოგანი — „მშვიდობის ქალაქი“ წარმოეჩინათ როგორც ნიშნისმოგება უკრაინელების მიმართ.

„ყოველ წელს გვაქვს საახალწლო სლოგანი, რაც 2018 წლიდან იცვლებოდა. იყო „სიცოცხლით სავსე თბილისი“, „სიყვარულით სავსე თბილისი“, „ისტორიით სავსე თბილისი“, „სოლიდარობით სავსე თბილისი“ და „მეტი სიყვარული - გვიყვარდეს ერთმანეთი“. წელს ჩვენი საახალწლო სლოგანია — „მშვიდობის ქალაქი“.

იმ გამოწვევების ფონზე, რაც მსოფლიოში ხდება ნებისმიერი ადამიანი რასაც ინატრებს, მშვიდობაა, თუმცა, საკმარისია ხელისუფლების, თბილისის მთავრობის, ან გნებავთ, საზოგადოების მხრიდან გაჩნდეს საყოველთაო ფასეულობებზე დაფუძნებული იდეა, მყისიერად იწყება თავდასხმა, ბულინგი, ცილისწამება.

გუშინ, კონკრეტულმა მედიასაშუალებებმა და პოლიტიკოსებმა სცადეს, აღნიშნული საახალწლო სლოგანი წარმოეჩინათ როგორც ნიშნისმოგება ჩვენი მეგობარი უკრაინელების მიმართ, რაც არის უმძიმესი სპეკულაცია და პროვოკაცია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის და ქალაქის მიმართ სიყვარულით გამსჭვალული ადამიანი არასოდეს იკადრებდა“!

მშვიდობა გასული წლის მთავარი მონაპოვარი იყო და მას ალტერნატივა არა აქვს. საახალწლო სლოგანში არ იყო ჩადებული არავითარი პოლიტიკური გზავნილი და მშვიდობა არის ის, რისკენაც ყველა მიისწრაფვის.

თბილისის მერმა მთავრობის სხდომაზე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მელიქიშვილის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში, უახლოეს დღეებში, ასფალტის საფარის ბოლო ფენა დაიგება. სამუშაოების გამო, პირველი დეკემბრის 00:00 საათიდან კვირის ბოლომდე, აღნიშნულ საგზაო მონაკვეთში საავტომობილო მოძრაობა სრულად შეიზღუდება.

მისი თქმით, გუშინ დაკეტილი იყო თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის (ფილარმონია) მიმდებარე ტერიტორია, დღეს საგზაო სამუშაოები უკვე დასრულებულია და საავტომობილო მოძრაობა აღდგენილია.

გარდა ამისა, მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტი, თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ჩართულობით, მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც უფრო მოქნილ და ეფექტურ გზებს დასახავს მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და პოპულაციის მართვის საკითხში.

კანონპროექტით რეგულირების ჩარჩოებში მოექცევა ცხოველების გამრავლება, მათი აღრიცხვა-რეგისტრაცია, მეპატრონეების მხრიდან ცხოველების მიტოვება, ცხოველების ორთაბრძოლების აკრძალვა, შესაბამისი ბიზნესსუბიექტების — მომშენებლების, ვეტერინარული კლინიკების, ცხოველთა ბაზრობებისა და სასტუმროების საქმიანობა.

თბილისის მერმა ასევე აღნიშნა, რომ დედაქალაქში განისაზღვრა 550-ზე მეტი სპეციალური ადგილი, რომელიც სამეწარმეო და მიწოდების სერვისისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკინგს დაეთმობა.

მისი თქმით, ინიციატივა სადისტრიბუციო ავტომანქანების გამო, გადაადგილების შეფერხების პრობლემას მოაგვარებს.

„მოგეხსენებათ, რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა. ჩვენმა გუნდმა არაერთი ინიციატივა განახორციელა ადგილობრივი ბიზნესის და ეკონომიკური საქმიანობის დახმარების მიზნით, განსაკუთრებით, პანდემიის პერიოდში. თბილისის მერიის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოსა და „საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის“ თანამშრომლობით, დედაქალაქში განისაზღვრა 550-ზე მეტი სპეციალური ადგილი, რომელიც დაეთმობა სამეწარმეო და მიწოდების სერვისისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკინგს.

სააგენტო აქტიურად მუშაობს ამ საკითხზე და თბილისის მასშტაბით, დაწყებულია სპეციალური პარკირების ზონების გამოყოფის პროცესი, რაც ეტაპობრივად განხორციელდება. ყველა ვთანხმდებით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელება. ხშირია შემთხვევები, როცა სადისტრიბუციო ავტომანქანები გაჩერებული ჰყავთ და აფერხებენ სხვა ავტომანქანების გადაადგილებას. კონკრეტული სივრცეების გამოყოფით ეს პრობლემა მოგვარდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

საუბრის დასასრულს, თბილისის მერმა საზოგადოებას მუნიციპალიტეტის კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი, მაია ბადრიძე წარუდგინა, რომელიც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში მუშაობს.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ „ᲝᲞᲖᲘᲪᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

„ᲔᲒᲠᲔ ᲐᲠᲐ ᲥᲜᲐ, ᲮᲣᲪᲔᲡᲝ“!..

ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ **მოწოდებულია, რომ საზოგადოებას, ხალხს მიაწოდოს სწორი ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე პერიპეტიებზე, მოვლენებსა და არსებულ ვითარებაზე.**

საქართველოში ზოგი პოლიტოლოგი ტენდენციური, მიკერძოებულია, ხელისუფლებაზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობს, ოპოზიციის კარგზე ყოყმანობს — აგინებს, საპირისპიროს ლაპარაკობს; მავნებლობაში, ქვეყნის ღალატში, გამცემლობაში ადანაშაულებს — რომ არ უნდათ საქართველოს მისცენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რომ მეგობარი ქვეყნის, უკრაინის პრეზიდენტმა ბატონმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ თავის ქვეყანაში აკრძალა ზოგი ოპოზიციური პარტია, — რომ უკრაინაში ილახება ადამიანის უფლებები, რომ ხელს უშლის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებას და სხვ. — განსაკუთრებით აგინებს პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ — სიტყვებს ყლაპავს, კარგზე თვალებს ხუჭავს. მიზანმიმართულად დამახინჯებულ, ცრუ ინფორმაციებს აწვდის საზოგადოებას, ხალხს და დათვურ სამსახურს უწევთ მათ.

მათი შემოქმედება, ნამოღვაწარი რომ შევადაროთ ერთმანეთს, ნათლად გამოჩნდება, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაკლები დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინსვლაში, არანაკლები მატერიალური და კულტურული ღირებულებები აქვს შექმნილი.

„ეგრე არა ქნა, ხუცესო, საქმე არა ქნა უწესო, თორემ ეგ შენი ნაქნარი შენს შვილიშვილსაც უწევსო“!

ᲝᲗᲐᲠ ᲨᲝᲜᲘᲐ,
არქიტექტორი.
(მობ: 571 39 05 92).

P.S. **ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ** **ვოლოდიმირ ზელენსკიმ, რუსეთთან ომის დროს,აკრძალა ზოგი ოპოზიციური ტელეარხი, ზოგი ანტიუკრაინული, ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული, პუტინის მიერ მართული მავნებელი აგიტატორი — ოპოზიციური პარტია.**

Ო. Შ.



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘᲐ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ელჩი საქართველოში **ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ** აცხადებს, რომ რამდენიმე გლობალური კვალიფიციური საპორტო ოპერატორია, რომელმაც დაინტერესება გამოთქვა ანაკლიის პორტით.

„როგორც ვიცი, რამდენიმე გლობალური კვალიფიცირებული საპორტო ოპერატორია, რომელმაც დაინტერესება გამოთქვა ანაკლიის პორტით და მთავრობა მომავალი წლის დასაწყისში ტენდერის გამოცხადებას აპირებს. ვფიქრობთ, ანაკლია ძალიან დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკაში, ასევე შექმნის სამუშაო ადგილებს ამ რეგიონში და მის მიღმა. ასე რომ, ჩვენ ვრჩებით ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარების დიდ მხარდამჭერად, რომელიც უნდა განხორციელდეს ისე, რომ საქართველოს საუკეთესო ინტერესებს შეესაბამებოდეს და დაიცავს საქართველოს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას“, — განაცხადა დეგნანმა.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აშშ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მტკიცე მხარდამჭერია:

„აშშ წლებია, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მტკიცე მხარდამჭერია, რადგან მიგვაჩნია, რომ ის შეიძლება, იყოს მნიშვნელოვანი კონტრიბუცია საქართველოს შავი ზღვისკენ ორიენტაციისთვის. ახლა ყველა ვხედავთ, რომ ანაკლიის პორტი შარშან რომ დასრულებულიყო, როგორც თავდაპირველად იყო დაგეგმილი, ეს იქნებოდა უდიდესი წვლილი საქართველოსთვის, რადგან საქართველო ავითარებს თავის როლს ცენტრალური აზიიდან ევროპაში ტვირთების გადაზიდვაში“...

ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲕᲚᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ **საბჭომ სანქციებისთვის გვერდის ავლის სისხლის სამართლის დანაშაულების სიაში შეტანის გადაწყვეტილება დაამტკიცა.**

ინიციატივა, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული, ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმებაშიც დადასტურდება.

„ეს გადაწყვეტილება აუცილებელი ინსტრუმენტია და გარანტია იმისა, რომ აღიკვეთება სანქციებისთვის გვერდის ავლის ნებისმიერი მცდელობა“ — განაცხადა ჩეხეთის იუსტიციის მინისტრმა პაველ ბლაჟეკმა. ახლა ევროკომისიამ უნდა მოამზადოს დირექტივები სანქციებისთვის გვერდის ავლასთან დაკავშირებული დანაშაულებისა და შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებების აღწერით. შემდეგ დოკუმენტს ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი განიხილავენ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მექანიზმის ამოქმედების წინადადებით ევროკომისია ჯერ კიდევ მაისში გამოვიდა. ეს ევროკავშირს სანქციებისთვის გვერდის ამვლელი ფიზიკური და იურიდიული პირების აქტივების „ფაქტობრივი კონფისკაციის“ გარანტირებისთვის დასჭირდა.

ივლისში მიღებული რიგით მე-7 სასანქციო პაკეტის ფარგლებში ევროკავშირმა დაავალდებულა შეზღუდვებს დაქვემდებარებული რუსი ოლიგარქები, ჩინოსნები, ძალოვანები და კომპანიები, ნებაყოფლობით შეატყობინონ ხელისუფლებებს ევროპული ქვეყნების ტერიტორიებზე არსებული მათი აქტივების შესახებ. ამ დირექტივის დარღვევა ამიერიდან სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი ხდება, რაც სასამართლო დევნისა და ქონების კონფისკაციის საფუძველს შექმნის.

ევროკომისიის მონაცემებით, უკრაინაში ომის 9 თვის განმავლობაში ევროკავშირმა ჯამში 68 მლრდ ევროს ოდენობის რუსული აქტივები გაყინა. მათგან 50 მლრდ ევრო ბელგიაზე მოდის, 5,5 — ლუქსემბურგზე, დანარჩენი — გერმანიაზე, ირლანდიაზე, ავსტრიასა და საფრანგეთზე.

„ანიე, დაზვერე, დაარტყი, დაჯექი“

როგორი იქნება საქართველოში წარმოებული სამხედრო დრონები?

თავდაცვის მინისტრის, ჯუანშერ გურჭულაძის აღიარებით, საქართველოში, **„დრონების საწარმოს“ მშენებლობა თითქმის დასრულებულია“** და სულ რაღაც ერთ თვეში, ანუ წლის ბოლოს, **„კონკრეტული პროდუქტის წარმოებაც დაიწყება“.**

ნოემბრის დასაწყისში, მშენებარე საწარმოში მისულ თავდაცვის მინისტრს აღარ დაუზუსტებია, რა იგულისხმა „კონკრეტულ პროდუქტში“, თუმცა მანამდე, ზაფხულში, მას ნათქვამი აქვს, რომ **„ერთობლივი საწარმო უპილოტო თვითმკვლელი და სადაზვერვო საფრენი აპარატების წარმოებას დაიწყებს“.**

თავდაცვის სამინისტროს მიერ ნოემბრის დასაწყისში გავრცელებულ ვიდეოკადრებში გამოჩნდა მხოლოდ „დელტას“ მიერ მანამდე წარმოებული ტექნიკის ნაწილი, თუმცა დრონებზე დამატებით არაფერი თქმულა და არც რამე უჩვენებიათ. სამინისტროში რადიო თავისუფლების ათზე მეტი კონკრეტული კითხვისთვის პასუხი ჯერ არ გაუციათ. მხოლოდ ის გვითხრეს, რომ **„დანარჩენს მაშინ იტყვიან, როცა უპილოტო საფრენი აპარატები საჩვენებლად მზად იქნება“.**

რადიო თავისუფლება შეეცადა გაერკვია, როგორ დრონებს, რამდენს, რა ფასად ან ვისთვის შეიძლება ქმნიდეს ქართულ-პოლონური საწარმო „დელტა ვებე“.

როგორი დრონები გვინდა?

სამხედრო ჟურნალისტი უჩა აბაშიძე, რომელიც კომპანია G droni-ს დამფუძნებელია და ამ სფეროსაც კარგად იცნობს, ამბობს, რომ ზოგადად, ქვეყნის მიერ დრონების წარმოება – სწორი სვლაა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა სავარაუდო მოწინააღმდეგის, რუსეთის შორსმსროლი არტილერიაა, რომლისთვის წინააღმდეგობის გაწევა საქართველოსთვის რთული ამოცანაა, ქვეყანამ, სჯობს, ამ ეტაპზე, ორიენტაცია აიღოს შედარებით იაფი, ჭურვის გადამტანი დრონების წარმოებაზე:

„ჩვენ დღეს გვჭირდება მარტივი, მსუბუქი სადაზვერვო დრონები, რომელიც ყველა ჯარისკაცს ექნება და მათი ზიდვა ზურგჩანთით შეეძლებათ... ჩემი აზრით, საქართველოს 1000 ცალი სადაზვერვო დრონი და ათასობით ე.წ. კამიკაძე დრონი სჭირდება“.

მისი თქმით, თუკი საქართველოს აქ წარმოებული დრონები საკუთარი შეიარაღებული ძალებისთვის სჭირდება, მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ქვეყანამ კარგად გაიაზროს, რა ტიპის უპილოტო საფრენი აპარატები უნდა აწარმოოს.

„მე არ ვიცი, რას ქმნიან დღეს იმ საწარმოში, რომლის მშენებლობაც დააანონსეს, მაგრამ იმედია, ეს არ იქნება რთული უპილოტო საფრენი აპარატი, რომელსაც საქართველოში ვერ გამოვიყენებთ. ჩვენ არ გვაქვს იმხელა სიღრმე, რომ, ვთქვათ, „ბაირაქტარის“ ტიპის აპარატი ავაფრინოთ ისეთი ადგილიდან, სადაც მას არაფერი მოხვდება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად იყოს გააზრებული; რას ვაკეთებთ“, – გვითხრა უჩა აბაშიძემ.

თავდაცვის სისტემის ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც რადიო თავისუფლებასთან ინტერვიუში ანონიმურ წყაროდ დარჩენა ისურვა, ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ თუ ქართულ-პოლონური წარმოება ისეთ უპილოტო აპარატებზე მუშაობს, რომელსაც ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი სჭირდება, ასეთ საავიაციო სისტემას, ქვეყანა, ომში, დიდი ალბათობით, ვერ გამოიყენებს.

„ყველა ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი იმაზე მალე დაიბომბება რუსების მიერ (რადგან რუსეთია ჩვენი ერთადერთი რეალური მტერი), ვიდრე საერთოდ რამეს აწევ ჰაერში. და თუ აწევ კიდეც, მერე უკან ვეღარ დასვამ. ჩვენ გვინდა სწრაფი სისტემა – აწიე, დაზვერე, დაარტყი და დაჯექი. მოკლედ, ლოგიკურად, ამ საწარმოში დღეს უნდა მზადდებოდეს მცირე უპილოტო სისტემები, რომელსაც ასაფრენი ინფრასტრუქტურა არ სჭირდება“, – ამბობს რადიო თავისუფლების რესპონდენტი.

საქართველოს რა სარგებელი?

ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ „რა იგულისხმება „წარმოებაში?“ – ასე სვამს კითხვას რადიო თავისუფლების ანონიმური წყარო:

„თუ ამ საწარმოს მუშაობაში იგულისხმება დრონების შემადგენელი კომპონენტების სახრახნისით აწყობა, მაშინ ამას წარმოება არ ჰქვია. თუ ამ დრონების ე.წ. ფიუზელაჟს (დრონის კორპუსი, ფრთები და ა.შ.) მაინც აწარმოებენ, ეს უკეთესი ამბავია. ასევე საინტერესოა, რა ინტელექტუალურ საკუთრებას გადმოგვცემენ პოლონელები? თუ აქ საუბარია იმაზე, რომ ჩვენ გადმოგვეცემა ე.წ. მაკონტროლებელი კოდები, მაშინ ეს კარგი ამბავია, რადგან მხოლოდ მაკონტროლებელი სისტემების ცოდნაა – ღირებული ცოდნა და მის გადმოცემას აქვს მართლაც დიდი მნიშვნელობა. ხოლო თუ არც ამას გადმოგვცემენ... მაშინ შემდეგი კითხვაა, რა დაგვიჯდა ეს ყველაფერი და საქართველო რას მოიგებს ამით?“

თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე ახალ საწარმოში

ჩვენი წყარო ასევე განმარტავს, რომ მომგებიანი ეს წამოწყება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა აწარმოებს მთავარს – კონტროლის სისტემას, რომელიც სხვებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. სხვა შემთხვევაში, ქვეყნის კავშირგაბმულობის დახშობა იოლი ხდება.

„ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ამ კრიტიკულ სისტემებს შენ აწარმოებდე. შენი უნდა იყოს. ან ამერიკელების. აი, მაგალითად, L3Harris* გაძლევდეს კავშირგაბმულობის ბლოკს, რომ ვერ ჩაგიხშონ. რუსებს, მაგალითად, აქვთ რადიოელექტრონული ბრძოლის დანადგარები. გათვლილი გვაქვს, რომ რუსეთი ვერ ჩაგვიხშობს ამ სისტემას? თუ ჩაგიხშობს, მაშინ, მარტო მაგ დრონით ვერაფერს იზამ – თავში თუ ჩაარტყამ ვიღაცას“. სამხედრო ჟურნალისტი უჩა აბაშიძე კი ამატებს, რომ კარგად უნდა იყოს გათვლილი ისიც, თუ სად ექნება ქვეყანას დრონების საწარმო, რადგან დაბომბვის შემთხვევაში მისი განადგურება ერთი წამის საქმეა.

„ჩემი აზრით, ასეთი ადგილი, შეიძლება იყოს თურქეთის საზღვარი, რომ უცებ შეძლო ყველაფრის გადატანა. ომის შემთხვევაში, თუ რამე შანსია, რომ წარმოება გადაგვირჩეს, ეგაა, თორემ, პირველივე რაკეტა ეგეთ სტრატეგიულ ობიექტს მოხვდება. ან მეორე გზაცაა – ასეთი საწარმო უნდა იყოს მობილური და შეგეძლოს მისი უსწრაფესად გადატანა სხვა ადგილზე. დრონების საწარმო, რომელიც არ იქნება გათვლილი იმაზე, რომ რამდენიმე წუთში აიკეცოს და დაიმალოს, არის განწირული“, – გვითხრა მან.

რადიო თავისუფლების წყარო ამბობს, რომ სამწუხარო იქნება, თუ საქართველოში აშენდა საწარმო, რომელშიც მილიონები ჩაიდება, რომელიც ხელშეკრულებას დადებს პოლონურ „WB“-სთან და შემდეგ აღმოჩნდება, რომ დრონები, რომლებიც უნდა აწარმოს ამ საწარმომ, „ჩამოკიდებულია“ ამ კომპანიის მიერ მოწოდებულ კომპონენტებზე და საქართველოში არაფერი იწარმოება:

„ეს უკვე ნიშნავს, რომ ამ კომპანიის ოფიციალური მონა ხდები – რა ფასსაც გეტყვის WB ჯგუფი (და ეს ფასი შეიძლება გაიზარდოს ხოლმე), საქართველომ ეს პროდუქტი მაინც უნდა იყიდოს. ამიტომ, ესეც გასათვალისწინებელი ფაქტორია“.

რა ვიცით „დელტა ვებეზე“?

WB GROUP – (WB ჯგუფი) პოლონეთის უმსხვილესი ტექნოლოგიური კონცერნია, რომელიც საერთაშორისო შეიარაღებული ძალებისთვის ამზადებს, მაგალითად, დაკვირვებისა და დაზვერვის, კომუნიკაციების, ბრძანების და ბრძოლის ველების მართვის სისტემებს.

ეს პოლონური კომპანია ცნობილია FLYEYE-ს ტიპის სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატებისა და WARMATE-ს ტიპის „კამიკაძე დრონების“ სერიული წარმოებითა და ექსპორტით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის - უკრაინაშიც.

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი, ირაკლი ალადაშვილიც წერს, რომ **„მრავალჯერადი გამოყენების FLYEYE-ს ტიპის სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატი განკუთვნილია ბრძოლის ველის სათვალთვალოდ, საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვის, რადიოსიგნალების რეტრანსლირებისთვის, სასაზღვრო ზოლის პატრულირების ან, სულაც, ტყის ხანძრების მონიტორინგისთვის. პოლონური „მფრინავი თვალის“ ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ ის მხოლოდ 12 კგ-ს იწონის და მის გაშვებას ერთი ადამიანი ხელით ახერხებს, ანუ არ არის საჭირო აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, რომელიც პირველი სამიზნე ხდება ხოლმე მოწინააღმდეგის მოულოდნელი საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში“.**

რაც შეეხება WARMATE-ს, ირაკლი ალადაშვილის სიტყვებით, ეს დრონი ერთჯერადი დრონია – კამიკაძეების კლასიდან. მსუბუქია, **5,7 კგ-ს იწონის და სტარტსაც შეკუმშული ჰაერის საშუალებით უხმაუროდ იღებს.** WB GROUP-ის ვებსაიტზე წერია, რომ მათი ტექნოლოგიები ეფუძნება პოლონეთის შეიარაღებულ ძალებსა და მსოფლიოს ყველაზე მსხვილ მომხმარებლებთან თანამშრომლობით მიღებულ გამოცდილებას.

WB GROUP-ი დღეს სამხედრო ტექნოლოგიების უმსხვილესი პოლონური ექსპორტიორია, რომელიც ათობით ქვეყანას ემსახურება, მათ შორის, აშშ-საც.

პირველი ცნობები, რომ ეს კომპანია საქართველოსთვისაც დაამზადებდა უპილოტო საფრენ სისტემებს, კომპანიის ვებსაიტზე 2022 წლის მაისში გაჩნდა – წერდნენ, რომ WB GROUP-მა, ამ მიზნით შექმნილი კომპანიის Delta-WB-ს (დელტა ვებეს) მეშვეობით (რეგისტრირებული 2021 წლის 1 დეკემბერს), საქართველოში უკვე გააფორმა კონტრაქტი უპილოტო სისტემების წარმოებაზე.

ამავე ცნობაში წერია, რომ პოლონურ-ქართული ერთობლივი საწარმოს მიერ გამოშვებული პირველი სისტემები მზად იქნებოდა 2022 წლის ბოლოს.

თბილისში დაფუძნებული პოლონურ-ქართული საწარმოს 50%-ს ფლობს სახელმწიფო კომპანია Delta International-ი, დარჩენილი 50%-ის მფლობელი კი – WB GROUP-ია. (WB GROUP-ის პრეზიდენტი პიოტრ ვოიჩეჩოვსკი, სახელმწიფო კონცერნ „STC Delta“-ს დირექტორი ზურაბ ჯაველიძე).

„WB ჯგუფი“ მუშაობს უკრაინაშიც – შპს „WB Ukraine“ ეხმარება უკრაინას ახალი პროდუქტების განვითარებაში, ასევე ეხმარება უკრაინის შეიარაღებულ ძალებს უპილოტო საფრენი აპარატებით და სხვა სისტემებით.

პოპულისტური იდეა?

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, თინათინ ხიდაშელი, რომელმაც ჩვენთან საუბარში „შოუ“ უწოდა მისი მინისტრობის დროს, „დელტაში“ გამართულ STC Delta, ქართული დრონების პრეზენტაციას, გვეუბნება, რომ მხოლოდ ქართული ჯარისთვის დრონის წარმოების დაწყება არასერიოზულია.

„ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს უკიდურესად ძვირია, და მეორეც – ჩვენ მეზობლად გვყავს ქვეყანა, თურქეთი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო დრონებს აწარმოებს (ეს უკრაინის ომშიც დადასტურდა) და ამ დრონების მისგან შეძენა გაცილებით იაფი დაგვიჯდება. მაგრამ თუ მხოლოდ ჩვენი ჯარის მოხმარებისთვის არ კეთდება ეს ყველაფერი და სხვა მაზრებისთვისაცაა გათვლილი, მაშინ ეს უკვე სხვა საქმეა, ეს უნდა განვიხილოთ როგორც მიზნესი“, – გვითხრა თინა ხიდაშელმა.

მისი აზრით, დრონების წარმოება ზოგადად, პოპულისტურად მომხიბლავი იდეაა და, შესაბამისად, სარისკო თემა კრიტიკისთვის.

„მაგრამ დღესაც სწორედ იმიტომ მიჩნდება ეჭვი, რომ ესეც მორიგი ავანტიურაა, რომ ხელისუფლება ისევ იწყებს ისეთი ინფორმაციის დამალვას, რაც არ არის სახელმწიფო საიდუმლო – თუნდაც ის, ეს დრონები ქართული მოხმარებისთვის მზადდება მხოლოდ თუ, მაგალითად, უკრაინის დასახმარებლად“, – უთხრა თინა ხიდაშელმა რადიო თავისუფლებას.

ეკა ძევანიშვილი,
რადიო თავისუფლების თბილისის ბიუროს ჟურნალისტი.

** L3Harris – ცნობილი ამერიკული ტექნოლოგიური კომპანია, თავდაცვის კონტრაქტორი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მიმწოდებელი, რომელიც აწარმოებს C6ISR სისტემებსა და პროდუქტებს, უკაბელო აღჭურვილობას, ტაქტიკურ რადიოებს და ა.შ.*

ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ლამაზია!

გალაკტიონი

ჯვარი ვაზისა, ანუ ვინა ვართ?!

რიგ მეცნიერთა აზრით, სახელმწიფოს ყველაზე სერიოზული პრობლემები დაკავშირებულია არა მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ თავდაცვის საკითხებთან, არამედ გაუცნობიერებელ სიმბოლოებთან. დღეს თითქმის ყველა წარმატებულ ქვეყანას გააჩნია ძირითად სიმბოლოთა ნაკრები (მაგალითად: აშშ-სთვის ეს არის თავისუფლების ქანდაკება, სახელმწიფო დროშა, დოლარი, კონსტიტუცია, ე.წ. ამერიკული კრედო და ა.შ.), რომელნიც ქვეყნის თითოეულ მოქალაქეში განამტკიცებს საკუთარი ღირსების გრძნობას.

ამიტომ ნებისმიერი ერი, თუ სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს, რომელი სიმბოლოების საშუალებით უნდა თავისთავის წარმოჩენა. ანუ, რა სიმბოლოებით განსაზღვრავს თავის ნაციონალურ იდენტობას, რაც მოითხოვს პასუხს კითხვაზე, თუ ვინა ვართ. ყოველ ერს გააჩნია თავისი ეროვნული ფსიქოლოგია, ეროვნული ცნობიერება, თავისი კალაპოტი, რომლისგანაც ამოვარდნა იწვევს ქვეყანაში ან ქაოსსა და უმართავ პროცესებს, ან პირიქით – სრულ უძრაობას.

დღეს ადამიანები ეძებენ თავიანთ ფესვებს, რათა თავი დაიცვან გლობალიზაციისა თუ მულტიკულტურული შემოტევებისაგან.

1995 წელს გერმანიის კონსტიტუციურმა სასამართლომ განაცხადა, რომ გერმანიის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება გავარიის სკოლების დერეფნებსა და კლასებში ჯვრების დაკიდება, რადგან ჯვარი ეს არის კონკრეტული რელიგიის სიმბოლო და რომ სახელმწიფო ვალდებულია შეინარჩუნოს იდეოლოგიური თუ სარწმუნოებრივი ნეიტრალიტეტი. ამ გადაწყვეტილებამ უდიდესი აღშფოთება და ნამდვილი სკანდალი გამოიწვია მთელ გერმანიაში. ფეხზე დადგა ერი თუ გერი და შესაბამისმა პასუხმაც არ დააყოვნა. გავარიის ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომლის თანახმად ჯვარი გავარიის კულტურული და ისტორიული ტრადიციების სიმბოლოა და არა – კონკრეტული რელიგიის სიმბოლო.

ცნობილი მეცნიერი კონდრად ლორენცი ჩამოთვლის რა რვა მომაკვდინებელ ცოდვას, რომელიც განადგურებით ემუქრება კაცობრიობას, მათ შორის ყველაზე უმძიმესად აღიარებს (თვით ატომურ ომზეც მეტად) თაობათა შორის კულტურულ წყეტას, ანუ როცა მომავალი თაობა თავის მშობლებს აღიქვამს როგორც სხვა კულტურის წარმომადგენელს და იქვე დასძენს – „მცდარ რწმენას, თითქოს ადამიანს თვითნებურად და ცარიელ ადგილზე შეუძლია არაფრისგან ახალი კულტურის შექმნა, სრულ სიგიჟემდე მივყავართ“.

დასავლეთ ევროპის ცივილიზაცია ერთდროულად არის დასავლურიც და თანამედროვეც. ანუ, ქვეყნის მოდერნიზაცია უნდა შევუსაბამოთ ტრადიციულ ფასეულობებსა და თანამედროვე დროის მოთხოვნებს. სანამ ჩვენ არ განვსაზღვრავთ ჩვენ მეობასა და რაობას, მანამ ვერ ჩავერთვებით ვერც ევროპულ და ვერც საკაცობრიო ფერხულში. ამისთვის კი საჭიროა საკუთარი ნაციონალური კულტურული რესურსების გახსენება, მათი თავიდან აღმოჩენა-გააზრება და შემდეგ მისი პოლიტიზირება.

ჯვრის ლათინური დასახელება (crux) – ტანჯვის იარაღს ნიშნავდა, როგორც რომის იმპერიაში, ისე სპარსულ და იუდაურ ტრადიციაში და სიკვდილით დასჯის ყველაზე სასტიკ და დამამცირებელ ფორმად ითვლებოდა. ჩვენი ჯვარი ვაზისა კი ეს არის სიუხვის, ბარაქის, დღეგრძელობის, სიცოცხლის და ამაღლებული განწყობის სიმბოლო. ამ სიმბოლოში შერწყმულია „ქართული წარმართული ესთეტიკური წარსული და ქრისტიანული აწმყო“ (რევაზ სირაძე).

ე.ი. ქართულ სინამდვილეში ვაზის გაღვთაებრიობა ქრისტიანობამდე მოხდა.

ივანე ჯავახიშვილი გრძანებდა – „ჩვენამდის მოაღწია ვაზის ლერწისაგან გაკეთებულად მიჩნეულმა სხვადასხვა საგნებმა. მათ შორის წმ. ნინოს ჯვარმაც. მათი მერქნის ქისტოლოგიური აგებულების სურათის თანამედროვე საქართველოში გავრცელებული ჯიშების მერქნის ჰისტოლოგიური სურათთან შედარება ანველოგრაფს საშუალებას მისცემს გამოარკვიოს თუ რომელი ვაზის ჯიშის ლერწისაგან ყოფილა ეს საგნები გაკეთებული“. და იქვე დასძენს, რომ – „მხოლოდ ასეთი კვლევა-ძიება მომავლის და მცენარეთა ანატომიის სპეციალისტების საქმეაო“...

დღეს როცა კოსმოსიდან ხდება პრინციპულად უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თანამგზავრებისა თუ უპილოტო მფრინავი აპარატებით ნებისმიერი ობიექტის დისტანციური ზონდირება სპექტრის სხვადასხვა დიაპაზონში, თვით მცენარეთა სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების ფიქსირება (დისტანციური სპექტროსკოპია) ძნელი არ უნდა იყოს ჩვენი ეროვნული სიმბოლოს წმინდა ნინოს ჯვრის წარმომავლობის დადგენა. ასეთი გამოკვლევა არაერთ საგულსხმო საკითხის გარკვევაში დაგვეხმარებოდა. **რაც მთავარია, ვაზის რა ჯიშს მიეკუთვნება წმ. ნინოს ჯვარი?!**

ვაზის ფანჩატურები და ხეივნები საუკუნეების განმავლობაში თბილისური არქიტექტურის ტრადიციული დეტალი იყო და ქალაქის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენეს, რომ თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე ვენახებით და ბაღებით ყოფილა დაფარული.

ამ რამდენიმე წლის წინათ პარიზში ლე დე ფრანსის კვარტალში დაახლოებით 1000 კვ.მ. ფართის ვენახი გააშენეს. ძირითადად 700-მდე ძირი პინო ნუარისა და შარდენეს ჯიშის ვაზი დარგეს. (აღსანიშნავია, ეს ქალაქის საზღვრებში გაშენებული რიგით მეხუთე ვენახია)! ჩვენ კი, ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საკოლექციო ნაკვეთზე, სადაც 523-მდე აბორიგენული ვაზის ჯიში იყო გაშენებული, ძირფესვიანად ამოვძირკვეთ და ამ ტერიტორიაზე მეტალო-პლასტმასით „დამშვენებული“ სახლები გავაშენეთ.

ამჟამად ევროპაში საკმაოდ აქტუალურია ვენახების ტერასული განაშენიანების იდეა. სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, რადგან ამ დროს ვაზის მზის სხივებით უზრუნველყოფა ოპტიმალურია. მისი ირიგაცია საკმარისად ეფექტური, ვიზუალურად საკმაოდ ლამაზი და შთამბეჭდავი.

სხვათა შორის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის შენობის პროექტის თანახმად, გათვალისწინებული იყო მის ირგვლივ ვენახის გაშენება. არა და, ვაზის გაშენება არ არის რთული. ის ხვიარა მცენარეა და კარგად ადის ხეებზე, კლდეებსა თუ შენობის კედლებზე. ასე, რომ, დღესაც შეიძლება ამ იდეის განხორციელება.

სიმბოლოების ნაკლებობა ამცირებს ერის მდგრადობას. ნებისმიერი ერის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ აღმავლობას წინ უძღვის სულიერი გაერთიანება, სადაც ცენტრალური ადგილი უჭირავს ისტორიულ მეხსიერებას. **არ არის მეხსიერება, არ არის ნაცია – გენედიქტ ანდერსენი.**

– „გევრი რამ გვიანდერძეს ჩვენმა ძველებმა. სხვათა შორის, აი ერთი ქრისტიანული ნიშანთა-განიცა ადგომის დროს, დაწოლის დროს, ჭამა-სმის დროს, ყოველგვარი მოქმედების წინეთ მათი შესაფერისი ლოცვები დაგვიტოვეს“. (აპაკი წერეთელი. ტომი XIV. გვ. 123-124. 1961 წ.).

და მართლაც, ქართველი კაცი ღვინოს დაულოცველად არ შესვამს. ყოველგვარი პურობა ჩვენში უფლის დიდებით იწყებოდა და შემდეგ გრძელდებოდა საკრალური ლოცვა-დალოცვის რიტუალები, რომელსაც სადღეგრძელო ვუწოდეთ.

თორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორის ფერისცვალება, 6/19 აგვისტო, ერთ-ერთი დიდი დღესასწაულია. ჩვენი წინაპრები ამ დღეს პირველად უსინჯავდნენ გემოს ყურძნის მოსავალს, თანაც უკურთხებელი ყურძნის ჭამა მკრეხელობად ითვლებოდა („მკრეხელი **ეწოდების ეკლესიათა საჴმართა წამპარველსა“ – სულხან-საბა ორბელიანი**). ამიტომ ფერისცვალების წირვაზე ყურძნის რამდენიმე მტევანს მღვდელს აკურთხებინებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ ეგემათ ვაზის ნაყოფი. რას ნიშნავს კურთხევა? პირდაპირი განმარტებით ღვთაებრივი ძალის მატარებელ კეთილ სიტყვას. ამ ძალას მადლი ეწოდება. ანუ, აუცილებელია კურთხევა, რათა მასზე გადმოვიდეს საღვთო მადლი და ეს მადლი გადაეცეს და მოეფინოს ირგვლივ სივრცეს, რადგან მას გამაძლიერებელი და განმწმენდი ძალა გააჩნია.

რთველი უძველესი მისტერიაა და მის მოახლოებისას ყველგან განსაკუთრებული წესები და ღონისძიებები ტარდებოდა. წესად იყო მიღებული, ყურძნის კრეფა ყოველთვის ძველ მთვარეზე უნდა დაეწყოთ. ბიბლიური გაგებით, რთველი – ყურძნის მოსავლის აღება დღესასწაულად ითვლებოდა. არ შეიძლებოდა ყურძნის უსიხარულოდ კრეფა, ხოლო უწმინდურებს რთველში მონაწილეობდ ეკრძალებოდათ.

იაპონიაში ყოველწლიურად მარტის ბოლოს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული ტელეარხები ახალი ამბების გადაცემას იწყებენ ალუბლის კვირტების გაშლის მონიტორინგის ეროვნული შტაბიდან. რუკაზე აჩვენებენ, თუ რომელ რეგიონში დაიწყო ყველაზე ადრე ალუბლის კვირტების ყვავილობის ჟამი. იაპონია ასოცირდება საკურასთან, მაგრამ ქვეყნის ოფიციალური ყვავილი ქრიზანთემაა. ანუ, კიკუ – იაპონიის იმპერატორთა სახლის სიმბოლო, რომელიც ამშვენებს იაპონელთა პასპორტს. ანუ, ნაციონალური ღირსება საჯარო გამოხატულებას მოითხოვს და ის პოლიტიზირებული უნდა იყოს. სიმბოლოების ნაკლებობა ამცირებს ერის მდგრადობას და მის ერთიანობას. დიდებული საგალობლის „შენ ხარ ვენახის“ სამშობლო – ვაზებში გახვეულ მხარეში, ალბათ ურიგო არ იქნება, თუ რთვლის სეზონის დადგომას საზეიმო ლოცვა-კურთხევით დავამშვენებთ.

დაგოლოს მთავარი, ახლოვდება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავი!

P. S. რუსთაველის პროსპექტზე, ქაშვეთის ეკლესიასა და სურათების ეროვნულ გალერეას შორის აღმართულია ჟამთა სიავისგან მტვრითა და ჟანგით დაფარული ვაზის ლითონის ნაკეთობა... ყურძნის მტევანი მწიფობაში შესვლისას ფერს იცვლის, იწმინდება და კრიალს იწყებს. თურმე ჩვენი ძველები ამ დროს ამბობდნენ, ყურძენი იცინისო. მოდით, ადამიანთა გულის სალხენად ახალი სიცოცხლე ქართველისფერი ღიმილი და სიხარული დავუბრუნოთ ამ მართლაც მშვენიერ ვაზის ხვიარას.

მარად და ყველგან უნდა გვახსოვდეს ის მთავარი, რაც არის ჩვენი მეობისა და ღირსების არსი.

მედეა თავდიშვილი,
ტელ.: 555396945



ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲖᲔ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲩᲐᲓᲘᲝᲓᲐ... ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ!

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, თანამედროვე ცივილიზაცია ისტორიაში კარგად ცნობილი იმპერიული ძალების გარეშე ვერ შეიქმნებოდა. იმპერია ხომ ძალადობას, ჩაგვრას, და საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, შედარებით სუსტი ერების დამორჩილებასა და მათი ეროვნული თვითშეგნების აბუჩად აგდებას ნიშნავს!

იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი, ასევე, მონებით ვაჭრობასთან, სასტიკ ომებთან, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასთან, რასიზმთან და შოვინიზმთან ასოცირდება. ძველი იმპერიული ქვეყნები თავიანთ სისასტიკეს იმით ამართლებდნენ, რომ მათ, დაპყრობილ ქვეყნებში, განათლება და განვითარება შეჰქონდათ. კი, ერთი მხრივ, შეიძლება, მართლებიც იყვნენ: იმპერიები, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობდნენ კოლონიების სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას. ნებისმიერი იმპერიის იდეოლოგიური სტრატეგია მათ მიერ გონივრულად გათვლილ ვერაგულ მისიას ეფუძნებოდა.

მაგალითად, რომის იმპერიის მესვეურები ამბობდნენ, რომ დაპყრობილი ერები კანონის, წესრიგისა და ღვთის სიტყვის მორჩილებას სწავლობდნენ და ეჩვეოდნენ, რასაც თეთრკანიანი ადამიანის ღვთიურ მისიად ასაღებდნენ. თუმცა, არაფერს ამბობდნენ იმის შესახებ, რომ კოლონიების განვითარებას, ხშირად, დაპყრობილ ხალხთა ფიზიკური განადგურება მოჰ ყვებოდა ხოლმე. მსოფლიო იმპერიებიდან, ყველაზე ცნობილია რომის, მონღოლთა, ოსმალეთის, ბრიტანეთის, ესპანეთისა და რუსეთის იმპერიები. კოლონიური იმპერიების ჩამოყალიბებას, ყველაზე ძლიერი ბიძგი მე-16 და მე-17 საუკუნეების დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა მისცა. რამდენიმე ევროპული ქვეყანა, ესპანეთი, პორტუგალია და ინგლისი კოლონიების მფლობელი გახდა. მათ შორის, ყველაზე გამორჩეული დიდი ბრიტანეთის გიგანტური იმპერია იყო, რომელშიც, მე-20 საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოს სახმელეთო ტერიტორიის 24 პროცენტი, და 412 მილიონი ადამიანი, ანუ მსოფლიოს მთელი მოსახლეობის 1/4 შედიოდა.

ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიები, თითქმის, ყველა კონტინენტზე იყო. მაშინ, ადვილად გაიგონებდით ხოლმე ინგლისელის ტრაბახს, რომ ევროპა, აზია, ამერიკა, აფრიკა და ოკეანია ინგლისის სამფლობელოა. ასეა ნათქვამი: The empire on which the sun never sets, ანუ იმპერია, რომელშიც მზე არასოდეს ჩადის. თუმცა, ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის ჩამოყალიბება ოდნავ გვიან დაიწყო, ვიდრე, ესპანეთისა და პორტუგალიის. ინგლისს ხოლოდ მე-16 საუკუნეში გაუჩნდა პირველი კოლონიები და ამას, ცნობილ მეკობრეს, ფრენსის დრეიკს უნდა უმადლოდნენ, რომელიც ინგლისის დედოფლის, ელისაბედ პირველის, დიდი ხელშეწყობით აკეთებდა სახელმწიფო საქმეს.

ბრიტანეთის იმპერიის ჩამოყალიბებას ასევე, სერიოზული ბიძგი მე-17 საუკუნის გარიჟრაჟზე მიეცა, როცა ინგლისელები ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტსა და კარიბის ზღვის პატარა კუნძულებზე დასახლდნენ. შეიქმნა ბრიტანული სააქციო საზოგადოება East India Company, რომელიც 1600 წლიდან 1874 წლამდე აკონტროლებდა კოლონიების ცხოვრებასა და არეგულირებდა ოკეანგაღმა ვაჭრობას. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ბრიტანეთი მე-19 საუკუნის უმთავრეს საზღვაო ძალად და უძლიერეს იმპერიად მოევლინა სამყაროს. ის მსოფლიოს ჰეგემონად და უანდარმად იქცა. ზოგიერთი ამერიკული კოლონიის დაკარგვის შემდეგაც კი, ბრიტანეთმა დაპყრობილი მიწების საკმაოდ დიდი რაოდენობა შეინარჩუნა: ჩრდილოეთ ამერიკის ნახევარი, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ნაწილი, აფრიკის უზარმაზარი ტერიტორიები და ინდოსტანის ნახევარკუნძული.

ინდური სანელებლებით დაწყებული და კანადური ბეწვეულით დამთავრებული, მთელი ბრიტანული ეკონომიკური ბრწყინვალების უკან, მჩაგვრელი კოლონიური სისტემა იდგა, რომელიც აღარიბებდა და ანადგურებდა აბორიგენ მოსახლეობას, მოპოვებული სიმდიდრე კი ლონდონში გროვდებოდა. არც სისასტიკე აკლდა მათ საქციელს დაპყრობილ ერთა მიმართ. დამონებულ აბორიგენებს ადამიანებად არ თვლიდნენ. ტასმანიელები კი მთლიანად გაწყვიტეს. ცხადია, კოლონიებში აჯანყებები ეწყობოდა, რომელსაც ელემენტარულად ახშობდა ხოლმე ბრიტანელი ჯარისკაცი. 1874-75 წლებში, ზულუს ტომთა ბავშვები, ქალები და მოხუცები გაწყვიტეს. 1860-70 წლებში, ბრიტანეთის სამხედრო გემები მდინარე ნიგერის გასწვრივ მდებარე დასახლებებს ბომბავდა.

1895 წელს ბრიტანელებმა როდეზიელი გლეხობა მიწის გარეშე დატოვეს, რამაც ქვეყანაში შიმშილი გამოიწვია. 1871-დან 1914 წლამდე ბრიტანეთის იმპერიამ დაპყრობილ ქვეყნებში 30-ზე მეტი კოლონიური ომი წამოიწყო. მხოლოდ კენიაში, ბრიტანეთის ჯარი 25 წლის განმავლობაში ატარებდა სადამსჯელო სამხედრო ოპერაციებს, თუმცა, მათ მხარეს ზარალიც დიდი იყო: დაახლოებით, 300 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს მაშინ. ბრიტანეთმა და საფრანგეთმა საშინელი როლი ითამაშა ახლო აღმოსავლეთში. ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, ორმა იმპერიამ უდრტვინველად გაიყო ოსმალეთისგან გათავისუფლებული ტერიტორიები. ეს იყო საიდუმლო მოლაპარაკება, რომელიც საიქს-პიკოს შეთანხმების სახელით შევიდა მსოფლიო ისტორიაში.

გარიგებას ინგლისელი დიპლომატი, სერ მარკ-საიქსი და საფრანგეთის გენერალური კონსული ბეირუთში, ფრანსუა-ჟორჟ-პიკო ხელმძღვანელობდა. ორმა დიპლომატმა, გეოგრაფიული, რელიგიური და ეთნიკური ფაქტორების გაუთვალისწინებლად, რუკაზე ფანქრის ერთი მოსმით მოხაზეს ახალი საზღვრები. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ სწორედ ამიტომაა დღეს ახლო აღმოსავლეთი კონფლიქტებით სავსე. სხვა იმპერიებისაგან განსხვავებით, ბრიტანეთის იმპერიაში, ეკონომიკა პოლიტიკაზე მაღლა იდგა.

East India Company მე-18 საუკუნის ბოლომდე მართავდა ინდოეთს, რომელიც საკუთარ დასახლებებს, დიპლომატიურ კორპუსსა და ჯარის ნაწილებს ფლობდა. მე-19 საუკუნეში, აფრიკის კოლონიზაციას აქტიურად უჭერდა მხარს როტშილდების ოჯახი. ბრიტანეთის იმპერია ეკონომიკურმა სიმძლავრემ შექმნა და ეკონომიკურმა სიდუხჭირემ დაშალა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საგარეო ვალის სიმძიმის ქვეშ, მას აღარ ძალუძდა იმ უზარმაზარი კოლონიების მხარდაჭერა. ვაჭრებმა, მიგრანტებმა და მისიონერებმა შესაძლებელი გახადეს კოლონიების მართვა ძლიერი ჯარის გარეშე. უნდა ითქვას, რომ იმპერია თავის კოლონიებს მოქნილი პოლიტიკისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის მეშვეობით აკონტროლებდა.

სწორედ ბრიტანეთის იმპერიის დამსახურებაა მსოფლიო არენაზე რკინიგზისა და ტელეგრაფის გაჩენა. ბრიტანეთის იმპერიის დაშლა მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ დაჩქარდა. 1947 წელს, დამოუკიდებელობა მოიპოვა ინდოეთმა, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა დეკოლონიზაციის პროცესს. 1997 წელს, ბრიტანეთის კუთვნილი ჰონგ-კონგის ჩინეთისთვის გადაცემა კი, იმპერიის აღსასრულს ნიშნავდა!..

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ Ბ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ
POSTV

ᲨᲣᲐᲓᲔᲠᲔᲤᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲭᲐᲠᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲐ!

(ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡ ფარგლებში ხელი მოეწერა დოკუმენტებს, რომლებიც შეეხება შუადერეფნის გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით განსაზღვრულ კონკრეტულ აქტივობებს, კერძოდ, დერეფნის ვიწრო ყელისა და საცობის ეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით 2022-2027 წლების სამოქმედო გეგმას. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, განავითარონ შუა დერეფნის ინფრასტრუქტურული კომპონენტები და ოპერაციული მიმართულებები.

ლევან დავითაშვილის თქმით, 2014 წელთან შედარებით, როდესაც პირველად დაიწყო შუადერეფნის გავლით საკონტეინერო მატარებლების მოძრაობა, 2021 წელს მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა და საქართველოს გავლით ჩინეთი-ევროპის საკონტეინერო გადაზიდვებმა გადააჭარბა 10 ათას კონტეინერს.

„მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით, შუა სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ ტვირთების გადაზიდვის მოცულობა 2021 წელთან შედარებით, ექვსჯერ მეტი იქნება. იმისათვის, რომ სრულად გამოვიყენოთ ეს შანსი, ჩვენი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ვაჭრობისა და კომუნიკაციის ბარიერების მოხსნა“, - ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მევლუთ ჩავუშოღლუმ** აქტაუში თურქეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ტრანსპორტისა და საგარეო საქმეთა მინისტრების სამმხრივი შეხვედრის გახსნაზე განაცხადა. მისი თქმით, დღეს მსოფლიოში ტვირთების ყველაზე დიდი მოცულობის ტრანსპორტირება ხდება აზიასა და ევროპას შორის, ხოლო „შუა სატრანსპორტო დერეფანი“ რჩება ტვირთების გადაზიდვის უმოკლეს და მომგებიან მარშრუტად.

თურქეთის პირველი დიპლომატის განმარტებით, რუსეთ-უკრაინის ომმა გლობალური სასურსათო და ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვია და ამასთან, ღრმავდება წინააღმდეგობები აშშ-სა და ჩინეთს შორისაც. ჩავუშოღლუს თქმით, მსოფლიოს ორი უმსხვილესი ეკონომიკა ეძებს გზებს პროდუქტების ურთიერთჩანაცვლებისთვის.

ქართველი სპეციალისტები შექმნილ შესაძლობლობას ძალიან დადებითად აფასებენ. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ხელმძღვანელი **გიორგი კაპანაძე** აცხადებს, რომ ახლა საქართველოს სხვადასხვა კუთხით ეძლევა სარგებლის მიღების კარგი შანსი.

„ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია შუა დერეფანი, რომელიც არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სამარშრუტო გზა და ტრანზიტი. აქ საქართველოს უმთავრესი როლი აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ძალიან დიდი პერსპექტივას უქმნის ჩვენს ქვეყანას, რადგან გაიზრდება (და უკვე ასეც მოხდა) გადაზიდვები. ვგულისხმობ, როგორც სახმელეთო, ისე სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო მიმართულებას. ზოგად მონაცემებს თუ ავიღებთ, სახმელეთო და საჰაერო მიმართულებით, ჯამურად, დაახლოებით 20%-ით არის გაზრდილი გადაზიდული ტვირთების მოცულობა, ზღვის მიმართულებით, დაახლოებით 15%-იანი მატებაა, 2021 წლებთან შედარებით.

ევროპა აქტიურად ეძებს ალტერნატივებს რუსეთის მიერ ომის დაწყების პარალელურად. ერთ-ერთი მთავარი სწორედ საქართველოა. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებთ, ვინაიდან ამით ისარგებლებს როგორც ქვეყნის ბიუჯეტი, ისე მოსახლეობაც, გამომდინარე იქიდან, რომ გაიზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, რაც განაწილდება ჩვენს მოსახლეობაზე. განვითარდება ბიზნესი, ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება.

თუ მხოლოდ გადაზიდვებს არ მოვიაზრებთ და განვიხილავთ ნავთობსადენსაც, როგორიც არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და აზერბაიჯანიდან მომავალ ნავთობსაც, ვიცით, რომ დღესდღეობით ტრანზიტის საშუალებით, რასაც აზერბაიჯანი ახორციელებს საქართველოს გავლით, ქვეყანას რჩება იაფი გაზი და ის ენერგოკრიზისი, რომელიც მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაშია, საქართველოს არ შეხებია. შესაბამისად, მსგავსი ტრანზიტები და სატრანზიტო მდებარეობა საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, რომ ამ კუთხითაც ისარგებლოს, უფრო დაბალ ფასად მიიღოს ენერგორესურსები, გაზარდოს შემოსავალი და ა.შ. ასე რომ, ძალიან ბევრი კუთხით ეძლევა საქართველოს ძალიან კარგი შესაძლებლობა“, — დასძინა გიორგი კაპანაძემ.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

„სადაკო – მშვიდობის ელჩი“

26 ნოემბერს, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში, თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა მოსწავლეთა ნახატების გამოფენა „სადაკო – მშვიდობის ელჩი“. ღონისძიების ორგანიზატორია სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“.

საშინელი ტრაგედია დაატეხა თავს ატომურმა იარაღმა იაპონიის ქალაქების – ხიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიან მოსახლეობას. პროგრესული კაცობრიობა დაუღალავად იბრძვის იმისათვის, რომ ეს სასიკვდილო იარაღი არ აღმოჩნდეს დამნაშავეთა, ტერორისტთა ხელში.

დღეს დედამიწაზე უამრავი უაზრო და გაუგებარი ომები ხდება, რომლებიც ცოცხლად დარჩენილთათვის მხოლოდ შიშველი სტატისტიკაა. კაცობრიობის მომავალი ხვალ ახალგაზრდობის ხელში გადავა. ამდენად, აუცილებელია, რომ მოზარდებს ომის საშინელებანი კარგად ახსოვდეთ და ჰუმანური იდეების ერთგულებით აღიზარდონ.

გამოფენა მიზნად ისახავდა იაპონელი გოგონას, ხიროსიმას ატომური დაბომბვის მსხვერპლის – სადაკო სასაკის ტრაგიკული ისტორიის მოზარდებისთვის გაცნობას და ამ ისტორიისადმი საკუთარი აზრის, განცდის, შთაბეჭდილებებისა თუ სურვილების გამოხატვას; მოზარდების დაინტერესებას სამშვიდობო თემატიკით.

გამოფენაში მონაწილეობდნენ თბილისის სამხატვრო და სახელოვნებო სკოლებისა და კერძო სტუდიების მოსწავლეები.

გამოფენა გახსნა სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკოს“ თავმჯდომარემ ლია დაუშვილმა. ბავშვებს სიტყვებით მიმართეს: მხატვარმა და მწერალმა **რეზო ადამიამ**, მწერლებმა **ზაალ ბოტკოველმა** და **აკაკი გეგენავამ**, მხატვარმა – ხელოვნების სტუდია „მომავლის იმედის“ ხელმძღვანელმა **ირაკლი აზიკურმა.**

ზაალ ბოტკოველი: **„თითოეული ეს ნახატი თავად არის ატომური ბომბი და მათი აფეთქების შედეგად სამყარო კი არ ინგრევა, არამედ სიკეთის, პატიოსნების, სათნოების მარადიული ყვავილები აღმოცენდება და ამ ყვავილების აღმოცენების ავტორები თქვენ ხართ“.**

რეზო ადამია: **„ეს საოცარი გამოფენა არ უნდა დაიშალოს, თბილისში მუდმივმოქმედი დარბაზი უნდა მოეწყოს. თქვენ პროფესიონალ მხატვრებს მოგვეცით მაგალითი, რომ ამ თემაზე ჩვენც მოვაწყოთ**

დიდი გამოფენა. ძალიან ნიჭიერი ბავშვები ხართ. მოვა დრო, ჩვენზე მევრად უკეთესები იქნებით“.

გამოფენისთვის დაისტამბა კატალოგი, სადაც შევიდა ვერნისაჟში მონაწილე ყველა ნორჩი მხატვრის ნამუშევარი. ბავშვებს გადაეცათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

რუსუდან ქოგულია

სურათებზე: მხატვრებსა და გამოფენის სტუმრებს ესალმება ცნობილი ფერმწერი რეზო ადამია; გამოფენის დროს.

* * *

დიდებულმა მხატვარმა რეზო ადამიამ ამ დღეებში ომის თემაზე ეს ნახატი შექმნა...



„ბოროტებამ გაანადგურა სიცოცხლე და მშვენიერება“
მხატვარი რეზო ადამია

◎ მწერალი კოლეგებს ეძომაგებგა

„იალქანი“ თვალსა და გულს ახარებს!

რუსეთის იმპერიამ თავისი დიდი ხნის განზრახვა რომ აისრულა და აფხაზეთის ქართველობა მათი მშობლიური კუთხიდან გამოდევნა, ალბათ იფიქრა, ქართული პრობლემა გადავჭერიო.

მაგრამ არა, ჭკვიანმა ქართველებმა იციან, რომ ბავშვები ისე უნდა გაზარდონ, როგორც საჭიროა და მაშინ საბოლოოდ ვერავინ დაგვამარცხებს.

1997 წელს ჭეშმარიტ ქართველ ქალს, ლიტერატორს, კრიტიკოსს სალომე კაპანაძეს გაუჩნდა იდეა, რომ საჭირო იყო აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის გამოცემულიყო ჟურნალი.

და რამდენიმე წელს ქალბატონი სალომე სპონსორების დახმარებით გამოსცემდა კიდეც ასეთ ჟურნალს, რომელსაც ძალიან იმედიანი სახელი „იალქანი“ დაარქვა.

2005 წელს სალომე კაპანაძე დაინიშნა აფხაზეთის (დევნილობაში) კულტურისა და განათლების მინისტრად და რადგან მინისტრობასთან ჟურნალის რედაქტორობას ვერ შეათავსებდა, ამიტომ ჟურნალი გადაულოცა ქალბატონ ნანა ჭანტურიას.

ნანა ჭანტურიამ გამოავლინა რედაქტორობის შესანიშნავი ნიჭი და უნარი...

ახლა გვაქვს ჟურნალი, რომელიც ახარებს სილამაზის მოყვარულთა თვალს და საქართველოს მოყვარულთა გულს. დღეს ჟურნალს ჰქვია შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის, გამოდის აფხაზეთის ა/რ მთავრობის დაფინანსებით და წარმოადგენს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან (მინისტრი ეკა ხოფერია) არსებულ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ერთ-ერთ საგამომცემლო ორგანოს.

ჟურნალის მაღალი შემოქმედებითი დონე გასახარია და ამას აღწევს ძალიან მცირე შემოქმედებითი ჯგუფი (ოთხი ადამიანი), თანაც „იალქანთან“ ერთად გამოსცემს პაწია ჟურნალ „აფქიოს“ ყველაზე პატარებისთვის.

ამ პატარა წერილის ავტორი – გურამ პეტრიაშვილი ვარ საქართველოს გულშემატკივარი. ვარ საბავშვო წიგნის თუ ჟურნალის მოყვარულიც და, ნუ მიწყენთ, საკმაოდ კარგი მცოდნეც.

და რადგან, როგორც საბავშვო მწერალი მთელი სულით და გულით განვიცდი საბავშვო გამოცემების ავ-კარგს, ამიტომ მივმართავ აფხაზეთის მთავრობასა და საქართველოს მკითხველ საზოგადოებას წინადადებით, რომ ჟურნალ „იალქნის“ შემოქმედებითი ჯგუფი დავაჯილდოოთ ღირსეულად.

რადგან ჯგუფისთვის დაფინანსების, ჰონორარის გაზრდა, რომელიც ჟურნალის ხარისხის შესაფერი იქნება, გარკვეულ დროს მოითხოვს, ამიტომ ახლავე შეიძლება ეს ჯგუფი წახალისდეს და გაიგზავნოს რომელიმე კარგ სასტუმროში ერთი თვით. იქ ჯგუფი დაისვენებს და სამომავლო გეგმებსაც დაისახავს.



რადგან ესეც ერთგვარი სიამოვნებაა, როდესაც ამბობ ეს ქართველი კარგად აკეთებს თავის საქმესო, ნება მიბოძეთ მეც ვისიამოვნო ახლა და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჟურნალის შემოქმედებითი ჯგუფი: რედაქტორი **ნანა ჭანტურია,** მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე,** მხატვარი **დალი მუხაძე,** დამკაბადონებელი **ვახტანგ ზაქარაია.**

ამ ჯგუფს უნდა დავუმატოთ ერთი ადამიანი, რომელიც იმსახურებს ჯგუფთან ყოფნას: **სალომე კაპანაძე,** რომელმაც დაიწყო ეს ყველაფერი. ვფიქრობ, რომ ჩემს წერილს მხარს დაუჭერს ნუგზარ მგალობლიშვილიც, რომლის იმედიც ყოველთვის აქვთ ამ კარგი ჟურნალების შემოქმედთ.



გურამ პეტრიაშვილი

კავკასიური კულტურის შენარჩუნება – „ანაკლია-2022“

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორმა მერაგ ჩუხუამ კომიტეტის წევრებს ცენტრის საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა. მომხსენებელმა კავკასიური პოეზიის ფესტივალზე „ანაკლია-2022“ ისაუბრა. მისი თქმით, ფესტივალი ჩერქეზული კულტურის ცენტრის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა და მასში საქართველოს და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა პოეტებმა, მწერლებმა, მუსიკოსებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა მიიღეს მონაწილეობა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ფესტივალი იმის მაგალითია, რომ საქართველო აძლიერებს ძალისხმევას კავკასიური კულტურის შენარჩუნების, შემოქმედებითი თავისუფლებისა და ერთიანობისთვის რეგიონში. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის, ჩერქეზული კულტურის ცენტრისა და ვარშავის უნივერსიტეტის ევროპულ კვლევათა ცენტრის ორგანიზებით გამართულ პირველი საერთაშორისო კონფერენციაზე „ჩერქეზი ხალხის ეთნოკულტურული პრობლემები“.

როგორც მერაგ ჩუხუამ განაცხადა, კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლების ყველა წარმოდგენილი თემა ეხებოდა ჩერქეზებს. საუბარი ასევე შეეხო კავკასიელ მკვლევართა პირველ საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურ კონგრესს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა და ჩერქეზი მწერლის მიხეილ ლოხვიცკის (აჯუკ-გირაი) დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. ქართველ და ევროპელ მეცნიერებთან ერთად, მოხსენებები წაიკითხეს ჩრდილოეთ კავკასიის მკვლევრებმა – ინგუშეთიდან, დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ჩერქეზული რესპუბლიკებიდან და ოსეთიდან.

◎ ყინულზე

ოქრო გერმანიიდან

გერმანიის ქალაქ დორტმუნდში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას წყვილმა ოქროს მედლები მოიპოვა.

„NRW TROPHY“-ის თასზე ქართველთა დუეტმა სპორტული ცეკვების კატეგორიაში 7 ქვეყნის წყვილს შორის პირველ ადგილზე გასვლა შეძლო. აღსანიშნავია ისიც, რომ რევიამ და კაზაკოვამ მეორე ადგილზე გასულ პოლონელთა წყვილს მთელი 26.74 ქულით აჯობეს.

მათ ორი პროგრამის ჯამში 188.38 ქულა დააგროვეს და სეზონის საუკეთესო შედეგი დააფიქსირეს. ქართველი მოცეკვავეები ყოველ ტურნირზე აუმჯობესებენ თავიანთ შედეგს, რაც ევროპის ჩემპიონატის წინ მათი სპორტული ფორმის შენარჩუნებასა და პროგრამების მეტად სრულყოფას უწყობს ხელს.

◎ ფორუმზე

ნინას ვერცხლი

ნინა თიბილაშვილი ეტლით ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელია.

ქართველმა პარამოფარიკავემ ვარშავაში ხმლით ფარიკაობაში მეორე ადგილი დაიკავა. თიბილაშვილმა ოთხეულში შესასვლელი ბრძოლა ფრანგ მიანკა ვიდესს ანგარიშით 15:12 მოუგო, ნახევარფინალში უნგრელი ევა ჰაიმასი დაამარცხა 15:7, ფინალში კი პოლონელ კინგ დროჟთან შეხვედრისას, მსაჯის გადაწყვეტილებით, არაერთგზის მიიღო წითელი ბარათი, რამაც მოწინააღმდეგეს ავტომატურად მოუმატა ქულები და ასპარეზობა პოლონელი პარამოფარიკავის სასარგებლოდ დასრულდა.

საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრები განაგრძობს ასპარეზობას პოლონეთის დედაქალაქში და დღეს ჩვენი გოგონები ხმლით ფარიკაობაში გუნდურ შეჯიბრში იბრძოლებენ მაღალი სინჯის მედლების მოსაპოვებლად.

◎ ლეგიონერი

18-ქულიანი წვლილი

საპალათბურთო ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურში გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფემ“ ისრაელის „ბნეი ჰერცლიას“ უმასპინძლა და იოლად, 83:63 დაამარცხა.

ესპანურმა გუნდმა პირველივე პერიოდში 20-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და საბოლოოდ ძალიან დამაჯერებლად მოიგო.

გიორგი შერმადინმა 20 წუთში 18 ქულა, 7 მოხსნა და 1 ჩაჭრა დააგროვა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 7 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, რის შედეგადაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 22-ს გაუტოლდა და მხოლოდ თანაგუნდელ მარსელინიო უერტასს ჩამორჩა, რომელსაც მარგი ქმედების 23 კოეფიციენტი ჰქონდა.

„ლენოვო ტენერიფე“ 3 მოგებით და 1 წაგებით H ჯგუფს ლიდერობს და მომდევნო ტურში 14 დეკემბერს ბერძნულ „პერისტერის“ უმასპინძლებს.

◎ ოვალური ბურთი

მაისაშვილი რჩება

ინფორმაცია ვერ გეტყვით. ის სიმართლეს არ შეესაბამება. როდესაც მე წელიწადნახევრის წინ რაგბის კავშირში მოვედი, მიმდინარეობდა მოლაპარაკება რამდენიმე მაღალი დონის მწვრთნელთან, ისეთებთან, როგორიც

რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** უარყო უცხოურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს მიმდინარეობს მოლაპარაკება ინგლისის ნაკრების ავსტრალიელ მთავარ მწვრთნელ ედი ჯონსთან და მან შესაძლოა ბორჯღალოსნები ჩაიბაროს.

„საიდან გაჩნდა მედიაში ეს ედი ჯონსია, მაგრამ მას შემდეგ ამ მიმართულებით არანაირი განახლება არ ყოფილა.

ვულოცავთ ლევან მაისაშვილს საოცარ გამარჯვებებს. როდესაც მან გამგეობაზე საკუთარი გეგმები წარმოადგინა, ტიერ1-ის გუნდებთან სხვადასხვა კომპონენტებში ხარისხიანი თამაში იგეგმებოდა, თუმცა მოკლე პერიოდში ორი გამარჯვების მოპოვება შეძლო (იტალიასთან და უელსთან). შესაბამისად, არ იქნება კორექტული სხვა მწვრთნელის კანდიდატურის განხილვა. პირიქით, ჩვენ მივიღეთ წინადადებები სხვადასხვა ქვეყნებიდან ლევან მაისაშვილთან დაკავშირებით და მათ აინტერესებთ, თუ იქნება ის თავისუფალი 2023 წლის შემდეგ. მსოფლიო თასის დასრულებამდე მასთან კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული და მინდა წარმატებები ვუსურვო, სამომავლო გეგმებს კი მთელი სარაგბო ოჯახი ამის შემდეგ განვიხილავთ“, – თქვა ტყემალაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მიმდინარე წელს პირველი დონის ორი მეტოქე, იტალია და უელსი დაამარცხა, ხოლო 2023 წელს მსოფლიო თასზე ჯგუფში პორტუგალიას, ავსტრალიას, ფიჯისა და უელსს დაუპირისპირდება.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ვწვალობთ და ვსწავლობთ

წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში „დინამო თბილისმა“ პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ უმასპინძლა და მარცხი განიცადა.

დეიან სტანოიევიჩის გუნდმა ბერძნულ გრანდს განსაკუთრებული წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სოლიდური სხვაობით, 9:21 წაგო.

ბერძნებმა სამი პერიოდი მოიგეს, თანაც ძალიან დამაჯერებლად და მხოლოდ მეოთხე პერიოდი დასრულდა ფრედ (3:3), როცა შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო. ამრიგად, „დინამომ“ მეორე მატჩიც წააგო. „დინამო თბილისს“ ორი ტურის შემდეგ ქულა არ მოუპოვებია და ჯგუფში ბოლო ადგილზეა, ხოლო მომდევნო შეხვედრას 13 დეკემბერს ასევე ბერძნულ „ვულიაგმენთან“ გამართავს.

◎ ყატარი – 2022

პლეი-ოფის კონტურები

გევრი კი ამბობს, ნაღდი მუნდიალი პლეი-ოფებიდან იწყებაო, მაგრამ ოლიმპიური სისტემის კონტურები უკვე ჯგუფური რაუნდის ფინიშზევე გამოისახა.

კერძოდ, მოიგეს სენეგალმა და ამერიკამ, ვისაც მერვედფინალში გასასვლელად მხოლოდ გამარჯვებები აწყობდათ, თანაც ოკეანისგაღმელთა წარმატებას ირანთან წმინდა საფეხბურთო დატვირთვის გარდა, მოგეხსენებათ, პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდა, რაც მატჩის შემდეგ თანამემამულეებისადმი პრეზიდენტ ბაიდენის მილოცვამაც დაადასტურა.

აღსანიშნავია, რომ იმავე საღამოს ნიდერლანდებმა და ინგლისმაც დასცეს მეტოქეები, არადა, პროგრამა-მინიმუმის შესასრულებლად მათ თითო ქულაც ჰყოფნიდათ. მეტიც – კუნძულელებს მეზობელ უელსთან პრინციპული ბრძოლა რეზერვისტებმა რაშფორდმა და ფოდენმა მოაგებინეს.

სხვათა შორის, რაშფორდი პირველია არაბულ ფორუმზე, ვინც ბურთი უშუალოდ საჯარიმოდან გაიტანა.

ასე რომ, 3 დეკემბერს 19 საათზე პლეი-ოფში ითამაშებენ ნიდერლანდები და აშშ, ხოლო 4 დეკემბერს 23 საათზე – ინგლისი და სენეგალი.

◎ კორტზე

კანადა – პირველად

კანადის ჩოგბურთელთა ნაკრებმა პირველად მოიპოვა დეივისის თასი. ტურნირის ფინალში, რომელიც ესპანეთის ქალაქ მალაგაში ჩატარდა, კანადელებმა 2-0 მოუგეს ავსტრალიას. გადამწყვეტი გამოდგა მსოფლიოს მეექვსე ჩოგნის, კანადელი ფელიქს ოჟიე-ალიასიმეს და ავსტრალიელი ალექს დე მინორის შეხვედრა, რომელიც კანადელმა 6-3, 6-4 მოიგო.

ოჟიე-ალიასიმემ 16 ქულა თამაშიდან მოიპოვა, მისმა მეტოქემ კი ეს მხოლოდ ხუთჯერ შეძლო. ეს სხვაობა ანგარიშზეც აისახა. კანადელმა ზუსტი ფორჰენდით (წაღმა დარტყმა) მოიპოვა გამარჯვების ქულა და მაშინვე თანაგუნდელთა გარემოცვაში აღმოჩნდა.

„ძნელია ჩემი ემოციების გადმოცემა. ჩვენ ყველანი ამ მომენტზე ვოცნებობდით. ეს მართლა ოცნების ახდენა იყო“, – განაცხადა ოჟიე-ალიესიმემ, ვინც შეხვედრის დასაწყისში, სამი ბრეიკ პოინტი მოიგერია და აქედან მოყოლებული, კორტზე გაბატონდა.

მან მერვე გეიმში მიაღწია ბრეიკს, პირველი სეტის ბოლო გეიმში კი ეისით მოიპოვა ქულა და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. კანადელმა უპირატესობა მეორე სეტშიც შეინარჩუნა, თუმცა დასაწყისში ამჯერადაც მოუწია მეტოქის შემოტევის მოგერიება. ამჯერად მეორე გეიმში ორი ბრეიკ პოინტი გააქარწყლა, მომდევნო გეიმში კი თავად შეძლო მეტოქის მოწოდების აღება. მეექვსე გეიმში დე მინორმა მეტოქის მოწოდებაზე 40-0 უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ამჯერადაც ვერ გამოიყენა.

პირველ შეხვედრაში კანადელმა დენის შაპოვალოვმა, ვინც იტალიასთან ნახევარფინალურ შეხვედრაში დიდი ძალა შეალია ლორენცო სონეგოს სამ სეტში დამარცხებას, ავსტრალიელ თანასი კოკინაკისთან თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და 4-0 დაწინაურდა. მან პირველი სეტი იოლად მოიგო და მეორის მესამე გეიმში კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის მოწოდება. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი მომენტი – შაპოვალოვს მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

ცნობისათვის: კანადის ნაკრები 2019 წელსაც გავიდა ფინალში, მაგრამ ესპანეთთან 0-2 დამარცხდა.

◎ ბრძენთა თამაში

94 წლის ოთარ შონიას ნაამბრევი

ამოხსნა

1.ᲐᲒ8-ᲓᲐ7!/მცდარია 1.ᲐᲒ8:ᲐᲖ? ლᲒ5-Გ6
2.ᲙᲔ5:Ე7 ᲐᲒ5:ᲒᲖ3 3.ᲙᲔ7:Გ4 და მოგება არაა/
1...ლᲒ5-Დ6 2.ᲐᲒᲖ:Ე5 ლᲓ6-Გ6 3.ᲐᲓ7:Ე5
ლᲒ6:Ე5 4.ლh3-Ე6+ მᲒ8-h8 5.ᲐᲔ5-Ფ7+
მᲒh8-Გ8 6.ᲐᲤ7-h6+ მᲒ8-h8 7.ლᲔ6-Გ8+
ᲔᲒ8:Გ8 8.Აh6-Ფ7×
თუ 2....ლᲓ6-Გ6 3.ᲐᲓ7:Ე5 ლᲒ6:Ე5
/ან Ე4-ზე/ და 5 სვლაში მამობია.

ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა აჭარის მუნიციპალიტეტში

2023 წელს სპორტული ინ-ფრასტრუქტურის მიმართულებით 150 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება და სპორტული ინ-ფრასტრუქტურა აშენდება აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში, — ამის შესახებ, გუშინ გამართულ აჭარის მთავრობის სხდომაზე, მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ განაცხადა.

განახლდება ყინულის არენის და საცურაო აუზის მშენებლობა და უკვე შემდეგი ორი წლის განმავლობაში სრულად დასრულდება აღნიშნული პროექტები.

„არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი დავგეგმეთ ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიმართულებით. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს, რომ ერთის მხრივ იყოს ხარისხიანი და ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინ-ფრასტრუქტურა, რათა მოგვეცეს შესაძლებლობა ყველა დონეზე ვუმასპინძლოთ და გავმართოთ საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები.

მომდევნო წელს ჩვენ ვმასპინძლობთ ევროპის 21 წლამდელთა ფეხბურთის ჩემპიონატს და მნიშვნელოვანია, რომ რეგიონი და ქალაქი შესაბამისად მოემზადოს აღნიშნული ღონისძიების მასპინძლობისთვის.

იწყება სარაგბო სტადიონების მშენებლობა ყველა მუნიციპალიტეტში. ასევე ერთ-ერთი პროექტი, რომელიც მომდევნო წელს განხორციელდება, იქნება ჭადრაკის სასახლის მშენებლობა“, — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

გუშინ შუახევის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ფიფას სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო სტადიონი. დასკვნით ეტაპზეა პროექტირების სამუშაოები ქობულეთში ახალი სასპორტო კომპლექსის მშენებლობისთვის. ასევე, ხელვაჩაურსა და ქედაში აშენდება ახალი სპორტული კომპლექსი და საფეხბურთო მოედანი.

ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით სანქციები გამკაცრდება!

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მეორე მოსმენისთვის განიხილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლითაც ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით სანქციები მკაცრდება.

კანონპროექტის თანახმად, **ქუჩაში, ეზოში, სტადიონზე, სკვერში, პარკში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სასამართლოში, აეროპორტში, კინოთეატრში, თეატრში, საკონცერტო დარბაზში, კაფეში, რესტორანში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ავტოსადგურსა, რკინიგზის სადგურში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ცივი იარაღის ტარება გამოიწვევს დაჯარიმებას, ნაცვლად 200 ლარისა, 500 ლარის ოდენობით და ცივი იარაღის კონფისკაციას.**

ცივი იარაღის ტარებისთვის პასუხისმგებლობის გამკაცრება მოხდება არა მხოლოდ ფულადი სანქციების გაზრდის კუთხით. პროექტის თანახმად, მისი განმეორებით ჩადენა გამოიწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაცვლად.

ცვლილებების თანახმად, „ცივი იარაღის ტარება“ გულისხმობს, ასევე, ისეთი გარემოების არსებობას, როდესაც პირი იმგვარად ფლობს ცივ იარაღს, რომ მოხდეს მისი დაუყოვნებლივი გამოყენება.

კოდექსის მოქმედი რედაქციით „ცივი იარაღის ტარება“ გულისხმობს მხოლოდ ისეთი გარემოების არსებობას, როდესაც პირს ცივი იარაღი უჭირავს ხელში, მიმაგრებული აქვს სხეულზე ან ინახავს ტანსაცმელში.

მომხსენებლის, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდერ დარახველიძის განცხადებით, პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოქმედ ნორმას აქვს ხარვეზები, ნაკლებეფექტურია და ამიტომ საჭირო გახდა კოდექსში შესატანი ცვლილებების მომზადება.

„2022 წლის იანვარ-სექტემბრის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოხდა მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის 147 შემთხვევა, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების 166 და ნაკლებად მძიმე დაზიანების 130 შემთხვევა. თუ ყველა ამ დანაშაულს დავაჯამებთ, 35% შემთხვევაში იყო იარაღად გამოყენებული დანა და მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მკვლელობების 53% მოხდა დანით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ, რომ მოქმედ რეგულირებას არ გააჩნია პრევენციული ეფექტი იმისათვის, რომ სხვა მძიმე დანაშაულები ავირიდოთ“, — განაცხადა ალექსანდრე დარახველიძემ.

საჯარო სკოლის ყოფილი ბუღალტერი და დირექტორი სასამართლომ დამნაშავედ ცნო

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მითვისებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტებზე საჯარო სკოლის ყოფილი ბუღალტერი და ყოფილი დირექტორი დამნაშავედ ცნო.

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დერცელის საჯარო სკოლის ყოფილმა ბუღალტერმა 2019-2021 წლებში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სკოლის საბანკო ანგარიშიდან საკუთარ ანგარიშზე გადარიცხა დიდი ოდენობით - 142 629,7 ლარი, რომელიც აზარტულ თამაშებში და სხვადასხვა კომერციულ და გასართობ ობიექტებში გამოიყენა. ამავე საჯარო სკოლის დირექტორმა სათანადო კონტროლი არ გაუწია სკოლის კუთვნილი თანხების მიზნობრივ ხარჯვას, რითაც ისარგებლა სკოლის ბუღალტერმა და საჯარო სკოლის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხა მიითვისა.

სამართალდამცველებმა სოფელ დერცელის საჯარო სკოლის ბუღალტერი დანაშაულის ჩადენის შემდგომ დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ფულადი თანხის მითვისება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც - 6 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი ჩაეთვალა პირობითად 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

რაც შეეხება ამავე სკოლის დირექტორს, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა) და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც ჩაეთვალა პირობითად 2 წლის გამოსაცდელი ვადით“, — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სანთელი

ბონდო ჯიჯია, გურამ გუნავა, ლერი ჭითანავა, მურმან ნაჭყებია, ვაჟა ფიფია, თენგიზ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა იუწყებიან მეგობრის, ცნობილი ეკონომისტის, ყველასათვის პატივსაცემი პიროვნების

რევაზ ცაავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

წამლებზე რეფერენტულმა ფასებმა ფარმაცევტულ ბაზარზე ვითარება რადიკალურად უნდა შეცვალოს!

მედიკამენტებზე რეფერენტული ფასების დაწესება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. კანონპროექტის განხილვა საპარლამენტო კომიტეტებში მიმდინარეობს და მხარდაჭერაც აქვს.

სახელმწიფო პოლიტიკა იცვლება ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებაზე ამჟამად საპარლამენტო კომიტეტები მსჯელობენ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, **თამარ გაბუნიას** განმარტებით, სახელმწიფო პოლიტიკა ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში ითვალისწინებს ხარისხიან, უსაფრთხო და ეფექტიან ფარმაცევტულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კანონი ქმნის ფარმაცევტული პროდუქტის ფასის რეგულირების სამართლებრივ საფუძველს.

„მინისტრი იქნება უფლებამოსილი: განსაზღვროს ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების წესი და პირობები; განსაზღვროს მედიკამენტები, რომლებზეც გავრცელდება ფასის სახელმწიფო რეგულირება და ასევე განსაზღვროს ფასები“, — განაცხადა თამარ გაბუნიამ.

რეფერენტული ფასების დაწესებას ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს ჯანდაცვის ექსპერტი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **აკაკი ზოიძე,** რომლის თქმითაც, „ახალი ველოსიპედის გამოგონება“ სულაც არ არის საჭირო, რადგან ხელისუფლებისთვის კარგად არის ცნობილი გზები, რითაც წამლის ფასთან დაკავშირებული პრობლემა საბოლოოდ უნდა მოგვარდეს.

„ხელისუფლებისთვის წინასწარ არის ცნობილი, რაც უნდა გაკეთდეს. ამ საკითხზე ადრეც იყო ყურადღება გამახვილებული. მას შემდეგ, რაც უნივერსალური ჯანდაცვა შემოვიდა, პრობლემად რჩება სწორედ მედიკამენტებზე დანახარჯები მოსახლეობისთვის, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხალხის გაღარიბებას იწვევს. ჯანდაცვის კომიტეტში ჩემი მუშაობისას ჩატარდა 6-თვიანი მოკვლევა, ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული, დაიდო რეკომენდაციები, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ხარისხიან წამლებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ვფიქრობთ, რეგულაციით შესაძლებელი გახდება ადმინისტრაციული ბარიერები მოიხსნას, კონკურენტუნარიანობა გაიზარდოს და წამლის ფასი ხელმისაწვდომი გახდეს, რა მხრივაც რეფერენტული წამლების დაწესება მნიშვნელოვანია. წლების განმავლობაში იყო ხარვეზი და ახლა მიდის გაჯანსაღება. ფარმაცევტული კომპანიები თვითნებურად ვერ გაზრდიან ფასს“, — განაცხადა ზოიძემ.

რასაკვირველია კანონპროექტს წინააღმდეგობა აქვს რადიკალური ოპოზიციის მხრიდან. საპარლამენტო ფრაქცია „ნაცმოძრაობის“ წევრის **რომან გოცირიძის** აზრით, პროექტი, რომელიც ყველა დასახელების წამალზე ფასების ზედა ზღვრის დაწესებას ითვალისწინებს, უგუნურებაა. მისი მიღება წამლების ხარისხის გაუარესებასა და მის დეფიციტს გამოიწვევს.

„პარლამენტში მთავრობიდან შემოვიდა კანონპროექტი, რომელიც უკლებლივ ყველა დასახელების წამალზე ფასების ზედა ზღვრის დაწესებას ითვალისწინებს. ეს არის სრული უგუნურება. ეს პროცესი დამთავრდება კრახით, ისევე როგორც რეცეპტების ისტორია, ვინაიდან ათასობით დასახელების მედიკამენტზე ფასების კონტროლი შეუძლებელია. ეს ავანტიურა გამოიწვევს წამლების ხარისხის გაუარესებას, მის დეფიციტს, ჩრდილოვანი ბრუნვის წარმოშობას, ჯანდაცვის სფეროში ინვესტიციების ვარდნას.

ფიქსირებული ფასების შემოღების მოტივი არის წამლებზე ხელმისაწვდომობის ზრდა დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებისათვის, სინამდვილეში კი ეს არის მხარდაჭერა მდიდრებისათვის ბიზნესისა და ბიუჯეტის ხარჯზე...

მთავრობის კანონპროექტი კრძალავს მედიკამენტების რეფერენტულ ფასზე მაღალ ფასში რეალიზაციას და განსაზღვრავს აღნიშნულზე პასუხისმგებელ პირებს და ადმინისტრირების ზომებს; ადგენს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ვალდებულებას, განახორციელოს ფასების ზედამხედველობა“.

ბექა დანელია

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘ: ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲖᲔ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑ, ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑ ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚ ᲔᲠᲖᲔ...

„ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲖᲔ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑ, ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔᲖᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲘᲛ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲭᲠᲜᲔᲜ. (...) ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲡᲮᲛᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠᲘᲡ. ᲔᲡ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ. ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲝ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲐᲬᲧᲔᲜᲘᲜᲝ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯᲔ ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ ᲓᲐᲕᲒᲒᲛᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲕᲘᲡ ᲕᲒᲒᲛᲝᲑ. ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲛᲐ.

„ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑ ᲞᲣᲢᲘᲜᲡ? ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲡ ᲔᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ“, — ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲔᲛ.

ᲗᲣᲠᲥᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ

ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡ ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜ „ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ 2“-ᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ, — ᲐᲛᲘᲡ

ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ, ᲛᲐᲠᲙᲝ ᲑᲣᲨᲛᲐᲜᲛᲐ „ᲓᲘᲓᲘ ᲨᲕᲘᲓᲘᲐᲜᲘᲡ“ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ თქმით, ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲐᲐ.

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ „ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ 2“-ᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲠᲙᲝ ᲑᲣᲨᲛᲐᲜᲛᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲜᲒᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲙᲔᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲛ ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡ ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, �გᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲝᲛᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲙᲝᲚᲝᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ 3 ᲢᲠᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲕᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ „ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ“ ᲐᲘᲦᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡᲐ ᲐᲜ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲖᲔ.

„ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ, ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ, �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ, ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ, ᲓᲐᲜᲘᲘᲡ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ, �თᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ, �პᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ, �პᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲘᲡ, ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ, ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲘᲡ, ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ, ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ, ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘᲡ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ, ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ, ᲐᲨᲨ-ᲘᲡ, ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲥᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ



ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲝᲗᲮᲯᲔᲠ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, 2035 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ 1500 ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲥᲝᲑᲘᲜᲘ. ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲐᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲘᲣᲠᲛᲐ ᲞᲘᲠᲔᲑᲛᲐ ᲘᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲡ. �პᲔᲜᲢᲐ�გᲝᲜᲛᲐ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲥᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲝᲡ 700-ᲛᲓᲔ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲝᲡ 1000-Ს 2030 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲐᲮᲐᲚ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲘᲜᲔᲗᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲓᲐᲐᲑᲚᲝᲔᲑᲘᲗ 400 ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲥᲝᲑᲘᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 2035 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ 1500-ᲛᲓᲔ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲝᲡ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲥᲕᲡ 3 750 ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲥᲝᲑᲘᲜᲘ. ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲐᲒᲘ, ᲓᲐᲐᲡᲚᲝᲔᲑᲘᲗ 5 977 ᲥᲝᲑᲘᲜᲘ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲖᲔ — ᲩᲘᲜᲔᲗᲘ 350, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ — 290 ᲓᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ — 225. �პᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ — 165 ᲓᲐ 160 ᲥᲝᲑᲘᲜᲘ.

ᲛᲘᲜᲐ ᲡᲘᲣ ᲩᲝᲘ ᲛᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ-2022

ᲛᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ-2022 ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲐ ᲡᲘᲣ ᲩᲝᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲬᲔᲚᲡ ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲓᲐ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 86 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ. ᲢᲘᲢᲣᲚᲘ „ᲛᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘ“ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲛᲐ ᲰᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲠᲗᲚᲝᲙᲛᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ, „ᲛᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ“ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲓᲘᲠ ᲐᲘᲣᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, „ᲛᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ“ ᲙᲘ ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲔᲚᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲐᲒᲘᲚᲔᲠᲐ.

ᲐᲥᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ

ᲙᲐᲢᲐᲠᲨᲘ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲛᲝᲛᲞᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲐᲥᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ“ ᲰᲥᲕᲘᲐ.

როგორც კონკურსის ორგანიზატორი და სამედიცინო კომიტეტის ხელმძღვანელი ამბობს, ისინი თითოეულ აქლემს ამოწმებენ იმაში დასარწმუნებლად, რომ აქლემს პლასტიკური ოპერაცია არ აქვს გაკეთებული. მისივე თქმით, ზოგი მფლობელი აქლემს ბოტოქსს, ფილერსა და სილიკონს უკეთებს.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲙᲐᲢᲐ

ᲒᲘᲜᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲛᲐ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲙᲐᲢᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ 26 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲚᲝᲡᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.**

ᲤᲚᲝᲡᲘ 1995 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲔᲠᲗ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ. ᲙᲜᲣᲢᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲘᲤᲐᲠᲐ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲢᲐᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲛᲝᲣᲬᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ 27 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲘᲙᲘ �გᲠᲘᲜᲗᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ.

„ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲐᲠ ᲕᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲢᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 90-ᲘᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠ ᲐᲡᲐᲙᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲗᲕᲚᲘᲗ ᲘᲡ 120 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲒᲘᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲙᲠᲔᲘ�გ ᲒᲚᲔᲜᲓᲐᲘ. ᲤᲚᲝᲡᲘᲡ �პᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲕᲘᲙᲘ ᲙᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲙᲐᲢᲐᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲧᲕᲘᲗᲔᲚ ᲞᲚᲔᲓᲖᲔ ᲫᲘᲚᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ.

11 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲡ

ᲰᲐᲠᲢᲤᲝᲠᲓᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲐᲤᲝᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲛᲐ 51 ᲬᲚᲘᲡ ᲚᲘᲖ ᲔᲚᲓᲠᲘᲯᲛᲐ ᲚᲔᲙᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ, 11 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲖᲔ ᲐᲩᲣᲥᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡ 12 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ 2011 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ.

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲛᲐᲡ 8 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲫᲔᲑᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲨᲔᲓᲔ�გᲝᲓ. 2022 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲑᲛᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲘᲞᲝᲕᲐ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲙᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲩᲘᲞᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲙᲐᲖᲛᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
ᲢᲔᲚ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲗ, ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7153; ᲔᲕᲠᲝ - 2.8196;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.2638;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4599; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1457;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6002;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.8763

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ -